



№ 17 **გაუმარჯოს თავისუფალ ხალხვენებას**  
**თავისუფალ საქართველოს!**  
**გაუმარჯოს საქართველოს**  
**ღმრთობრივად განსჯილია!**



**ფასი 15 მანათი**

**„თავისუფალი და სხვა“**

წლიურად 500 მან., ნახევარი წლით 250 მან. თითო ნომერი — 15 მან. ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, ბაზრის № 20 ქართ. ბეჭდვითი ამბ, სტამბაში, რუსთ. № 26 ფოსტით: თბილისი, რედაქცია „თავისუფალი და სხვა“ იოსებ იმედაშვილს. **ტელეფონი № 4-73.**

დაარსების წელიწადი მეთექვსმეტე, გამოცემის მერვე  
 სათეატრო, სალიტერატურო, სამუსიკო, სამხატვრო და საზოგადოებრივ შინაარსის ყოველკვირეული ჟურნალი.

დაარსდა 1910 წ.  **კვირა, მაისის 9**  გამოდის 1920 წ.



სახალხო ტრიბუნის რაფიელ ჩიხლაძე.  
 გარდაცვალების წლის თავი. დღეს, მაისის 9, კუკის  
 სასაფლაოზე 12 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვილი.



კომპოზიტორი ნ. ხულხანიშვილი მეუღლით.  
 (გარდაცვალების 6 თვის თავი. სურათი გადაღებულია  
 18 წლის წინად).

# სახელოვნო ღლიური

## ხელოვნების სახეიმიო

გასაოცარ და უმშვენიერეს ხანაში ეცხოვრობთ: აღმინათა გამეცეკება, ურთიერთის დაუნდობლობა, იარაღის ეტარუნე, შემეკვარ ღული გული და... ხელოვნების სახეიმიო მზადება!

ეს არას ჩვენი თანდაყოლილი თვისებაა.—„რაც გინდ ზამთარი ჰყინავდეს!..“ ქართველი მაინც თავისას არ დიშლის.

ამისი ცხადი დამატკიცებელია თბილისის მუშა-აივან პირველ მაისის სახეიმიო დღესასწაული და ამავე დღეს ნაძალადევის თეატრის გახსნა!

რა სადა, ამავე დროს რა მშვენიერი, რა მიმიზიდველია: ყოველი კუთხე-კუნჭული გილიმის, გიცინის.

და ეს ვაჟკაც ქართველი მუშის მარჯვენამ,—განსაკუთრებით ნაძალადევის მუშამ! ოჰ, რა ბედნიერება იქნება, საქართველოს ყოველ კუთხეს თუ ასეთი ტაძარი ელისა და შიგ წმინდა ხელოვნების წმიდა ცეცხლი გალივდა!..

### პოეზიის მეჯლისი

დიად, მუდამ მეტყველი პოეზიაც გამოკრთა! ლამაზ თქმათა ქურუმნიც დიარაზნენ და სხვადასხვა რწმენით, ამიერიდან ერთი გვებით მიიპართებიან:

ეს გეზოა მშობელი ერის გრძობა-გონებით ამაღლება, გაკეთილშობილება, სრულქმნა, ზეკაცად გარდაქმნა!

ასე შეგფერის თავისუფალ სამშობლოს.

დაე, ვარეშე მტერს; საზღვარზე მომდგარ შევზნელ ძალას თუ ჩვენი მხედრობა ხმლით და სისხლის შეწირვით იგერიებს, შიგნითი მტერი—ველურობა, უადამიანობა ლამაზი სიტყვის მიქმელთ მაღალი გრძობის ქურუმთ გარდაქმნან.

ამისი საწინდარია პოეზიის დღე, მაისის 7 გამართული, როცა საქართველოს მწერლები დარაზმულნი გამოვიდნენ!..

ხელოვნება სადღესასწაულოდ ემზადება და ვისურვით მისი მეჯლისი დროით გვეხილნოს!..



## რ ა ვ ა ე ლ ი

რაფაელს აშქენებს ვეფური თემპი, ამაყი შებდი და ფაფაის სიწმენსაჲ, წყვიანი ყაფამას გაზრდილი რითმები, წამრტაცი ოცნების მარადი სიტოცხლე.

იფოცხლებს რაფაელ ძვირფასი რახშით რაშში, რომ ბატონობს დედა როტონდის, მას დიდხანს ადიდებს მსოფლიო ხანდაზმით, რომ „ტუმბის“ კალთების დაკონს მოგვანდა.

რაფაელ ხანციო და მიქელ ანჯელი— ეს ორი ჰოეტის უგვადვი დიდება— თუთო სულის ხელმწიფე, მისივე დამსჯელი ჩემს წინ ისტებს ვით ახდებს დიდებას.

სოკო ებრაღიძე

# ილია გურიელი და თითრი გიორგი

(ქართველ მუშათა ხელოვნების ტაძარში) ნაძალადევის პლენარის სახელოვნო კლუბის გახსნის საღამოზე ნოე უორდანიას მიერ მაისის 1 წარმოთქმული სიტყვა.)

მომილოცავს ამისთანა კოხტა, ლამაზი, მუშის მარჯვენით და ენერგიით ავებულ კლუბის გახსნა. ქართველი მუშა მუდამ დიდი შეგნებით გააიოჩოდა და დღევანდელი ხეიმი ამის ნათლად დამამტკიცებელია, მხოლოდ აქ, ჩვენში მოხდა ნამდვილი რევოლუცია და არა იქ, რუსეთში, სადაც მარტოოდენ წგრევა არის. რევოლუციის მიზანი ის კი არაა, რომ დაანგროს, მოსპოს ის სიწმინდე, რომელიც წინა თობას შეუქმნია არამედ მასა გამოყენება. ამ მხრით დღევანდელი დღე საუკეთესო გამოხატულებაა ჩვენის და რუსეთის გზისა. იქმხოლოდ წგრევაა და არავითარი შემოქმედებით მუშაობა: დაკეშულია წარმოება, მუშათა კლასის საწინელ პირობებში სცხოვრობს. ვახუთებში გამოქვიწყებულ უკანასკნელ სტატი-სტიკურ ცნობების მიხედვით რუსეთის უსადგენად, ე. ი. იმ სიმიდისა და დღევანდელი მუშაქმნელია; რაც რევოლუციამდე იყო—საჭირია ახ მილიარდი სტერილიზი, ჩვენი ფულით რომ ვიანგარიშოთ, ახ ათასი მილიარდი მანეთი, ე. ი. ფული, რომლის დათვლაც კი შეუძლებელია. საქართველოს და რუსეთის გზები გაიყარნენ და დღეს, როდესაც რუსეთის ძალები ჩვენს საზღვრებს ჩამოსდგომან, თუ მათ შესძლეს აქ შემოსვლა, ეს იქნება ჩამორჩენილი ძალის მაღალ კულტურისა და კეთილშობილ-სი, უკან დაწევა. ეს არასოდეს იქნება და ჩვენ ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ გამარჯვებული ყოველთვის გამოვა მაღალი კულტურა! (ტაში.)

რუსეთის და საქართველოს ხალხის შორის დიდი განსხვავება ხასითსა, ტემპერამენტში. ეს ნათლად ისახება თუნდ იმ სახალხო გადმოცემებში, რომელიც ყოველი ერის დამახასიათებელია.

რუსეთის გმირი, თქვენ ლაბად წიგნებიდან გეკონდინებთ, არის ილია მურიშვილი. იგი ოცდაათი წელიწადი ფეხზე იწვა და ეძინა. ყველა მას თავში ურტყამდა, მარამ ხმას არ იღებდა. ოცდა ათის წლის შემდეგ კი, როცა ღონე მიეცა, ადგა, აიღო ჯოხი და ყველაფერი მიანგრ-მოანგრია.

ასე მოქიქა რუსის ხალხიც. სამასი წლის განმავლობაში, რომანოვების ხელში იგი ფეხზე იწვა და ეძინა. ყოველი გირომდგომი, სტრაქინიკი თუ მამასხლისი მას თავში სცემდა, მაგრამ იგი ხმას არ იღებდა. და აი, ეხლა, სამასი წლის შემდეგ იგი ადგა, აიღო ჯოხი ხელში და ყველაფერი მიანგრ-მოანგრია.

ჩვენი ხალხის გმირი კი არის თითრი გიორგი, რომელიც სახელმწიფო გერბად გვაქვს. მას და ილია გურიელის შორის ვარგვანი განსხვავებაც დიდია. თითრი გიორგი ლამაზია, ტანადი, მკვირცხლი, როგორც ქართველი ხალხი, მშვენიერ ცხენზე ხის. ილია გურიელი სქელია, უზარმაზარი, მის სიძიმის ქვეშ ილია უშეშებელი ცხენი იხიქებდა... (სიცილი ტაში.)

თითრი გიორგის თავის დღეში არ სძინებია ფეხზე. იგი მუდამ შუბით ხელში იბძობდა, მუდამ აქტიური იყო, როგორც ქართველი ხალხი, რომელიც მუდამ იბრძოდა და აქტიური იყო შავნელი რევოლუციის დროსაც. და ეს ორი სიძმობილო არის გამოხატული საქართველოს და რუსეთის ბედისა. იქ არის მხოლოდ წგრევა ბოლშევიზმის სახით, აქ არის შენება, ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის და ამის საუკეთესო მაჩვენებელია დღევანდელი დღე, როცა თქვენ აავით ეს სასახლე მაშინ, როცა ჩვენს ირგვლივ მხოლოდ წგრევაა.

მოვილოცავთ დღევანდელ ორმაგ დღესასწაულს და გისურვებთ წარმატებას. \*)

ნოე უორდანიას

\*) ტაში, დარბაზი ფეხზე ადგა და ორატორს ოაცივნება გაუ-მართა.

# საქართველოს მხედრობა

# ქართული ჰიმნი \*)

ჩვენს თვითარსებობის ისტორიის უღამაზესი კაბა... დონები იწერება, ოქროს კაბადონები.

ამის მოწმე-მოწმეობიერი თვით ჩვენა ვართ.

საქართველოს დაუძინებელ მტრების და მუხანათ მუზობლების ჯოჯოხეთური გულის თქმანი ამოძაბედენ ერთის ხელის მოქნევით მოინდომეს დაეხვით, რაც ჩვენმა ხალხმა და მისმა ღირსეულმა მესვეურებმა შეუჩერებელის ბრძოლით მოიბოვეს.

მაგრამ მწარედ მოსტყუდვენ: ისტორიის შორეული მრწამსი, ქართველის გულიგულში ღრმად ჩანგრეული სიყვარული თავისუფლებისა, მამულის ერთგულებისა და რაინდობა უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ამ მუხანათების „ვაიმოსლას“ პირველ მისს დამსახურებულ პასუხს გასცა შეგნებულმა ქართველმა ხალხმა; მათსავე „რეგოლიუციონურ გადატრიალებებს“ განზრახვას, იუნკერთა სასწავლებელში ჩვენი ახალგაზრდა მხედარნი ღირსეულად შეხედენ:

— დაგვენდით! — დასძახეს მუხანათებმა მძინარ ახალგაზრობას და მათუხრებთ თავს დაადგენენ: მთავრობა უკვე ჩამოგდებულია, ყველგან ჩვენ გაეგინარჯვეთ!

— კარგი! — მიუყეს ნამძინარმა ქართველმა იუნკერებმა: ჩვენც ჩვენს მოვალეობას შევასრულებთ, — გაუმარჯოს საქართველოს! დასძახეს და იარაღიანებს უიარაღოთ, შიშველ ხელებით და სკამებით დაუწყეს თავიერის მტერევა, ერთმა მხედარმა დრო იხელთა, გასხლტა, ფანჯარიდან ჩახტა და უფროსთ აცნობა, მეორემ მტრის რკალში შეძება, თოფს დასტაცა ხელი და სროლა ასტეხა... ხმაურობაზე გამოცივიდენ საქართველოს ჯარების მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე, პოლკ. ჩხეიძე... თავდაცემებმა რამდენჯერმე დასალეს რევოლვერი კვინიტაძის, მაგრამ უშედეგოდ: თეთრმა გიორგიმ დაიფარა თვისი ერთგული მხედარი. შეუტრეს პოლკ. ჩხეიძესაც, მაგრამ ჩხეიძე არ შედრკა: ვაჭერდა, ვითარცა მამაც ქართველს შეგფერის და ორის სროლით ორი თავდაცემი მიაწვინა, მესამე დასტოვა ..

მუხანათ დამცემებმა დასპრეს ორი იუნკერი, ერთი კახელი თავადი შეილთავანი მაყაშვილი მოკლეს, სამაგიეროდ მათ დასტოვეს რამდენიმე მკედარი, შეპყრობილი და მიფერი მათი გეგმაც გამოიმტავნდა. გამოიოკვა, რომ ესენი უმთავრესად სომხები არიან... ფულით მოსყიდულნი, რომელთაც ერთის შებერვით მოინდომეს საქართველოს თავისუფლების მოკლა. . მაგრამ შესცდენ: საქართველოს უკვე ერთგული მკველი გაუნდა — თვით ქართველი ხალხი, მისი ნორჩი მამაცი ჯარი და გვარდია... თეთრმა გიორგიმ შუბი შეიმალდა და მისი ჩამორთმევა არც ისე ადვილია!..

ვაშა ქართველ ახალგაზრდა მხედრობას ვაშა მის, ღირსეულ მესვეურთ გენ. კვინიტაძეს, პოლკ. ჩხეიძეს და სხ., რომელითაც საარაკო სიმაძავე გამოიჩინეს! ნეტარ ხსენება მუხანათობისგან დაწერიულ მოვალეობის ერთგულს იუნკერს, მიხეილ მაყაშვილს, რომელმაც ნორჩი სიციცხლე საშობლოს თავისუფლების დაცვას შესწარა და ქართველ მხედრობის სიმაძავის ოქროს კაბადანი თავის უმანკო სისხლით დასწერა!..

ვაშა ჩვენს თეთრი გიორგის წითელ გვირგვინს!..

იოსებ არმათიელი



სახელმწიფოსა ჰქმნის ერი,  
ერია მისი ბატონი,  
მესაკუთრე და მმართველი,  
უცილობელი პატრონი.

მაშ, ვაშა ჩვენსა მთავრობას,  
ერისგან შექმნილ ძალასა,  
ერი მას უძღვნის მაღლობას  
და წრფელის გულით საღამას!

გაუმარჯოს ქართველ ერს!  
გაუმარჯოს საქართველოს!  
დიდება მაღალსა ღმერთსა  
და მთავრობას სასახლოს!

ახო



# ბანცლათა კარნახი

ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ა .

I

ქამსა ცისკრისასა, ოდეს წყვილიდი განვლიდა ჩვეულებრივ ყოფას და სინათლე ეფინებოდა არეს, მათა გულის სიღრმეში გაშენებული მონასტრის ზარების ხმა — შეწყობილი გუფუნი არღვევდა საპარისებურ მკუდროებას. აღამიანებოც იშლებოდნენ...

ზარის ხმასთან ერთად, შავად მოსილ მონაზონთა გაფერპყრთალებული სახენი ნელი ნაბჯით გაივლიდენ ტაძრას ბქეს.

ვატაცუბუნნი უხილავ ხატებათა წარმოდგენით და ზემთავონებულ რწმენით აღსავანია, კლემბა - მოსილებით წარსდგებოდენ ღვათების წინაშე.

ჰაერი იესებოდა გუნდრუკის სუონელებით.

კიდევ ზარის გუფუნი და თავდებოდა მოძღვარის უქანასკნელ აკკორდად ქვეული „ამინ“!

და მას მოჰყვებოდა მორწმუნეთა საერთო ვალთა, და მონასტრის ზღუდეთა შორის ყოველი იმოსებოდა იდუმალი განცდის გამოყენებულ ღტლივით.

და ნინოც ამ დროს ლოცვად იდგა თავის ბნელ სენაკში.

ის არას დროს არ უნახავთ ტაძრის თაღებ — ქვეშ ლოცვად დამდგარი მრავალთა შორის.

ის იყო მარტო თავის სენაკში და მარტოკა ლოცულობდა.

ნინოს ლოცვას დროს სახე იცვლებოდა, თვალზე, უტიკლებად, ცრემლები სხივებათ ეფრქვეოდნენ ცივს ნიადაგს.

\*) გაღლებულია ნოტებზე და ამ მოკლე ხანში ცალკე გამოვა.

რედ.

ვერავინ არჩევდა მისი ლოკვის საიდუმლებებს სიტყვები გალობის ქსელში იფანტებოდნენ და იშლებოდნენ.

დაიწყებოდა ტაძარში საერთო გალობა და ნინოც მას მიჰყვებოდა, მათთან ლოკულობდა.

ვერავინ კადნიერდებოდა, რომ ნინოს ლოკვისთვის იდუმალობით ყური მიეპყრო.

მას ყველა მოწიწებით უტკეროდა.

და იმ დღესაც ჩვეულებრივად.

გათავდა საერთო სამსახური ღვთისადმი.

და მონაზონთა გუნდნი ნელის ნაბაჯით მიუახლოვდნენ ნინოს სენაკს, მოკრძალებით შედგენენ.

ის ისევე თვალცრემლიანი განავარძობდა ლოკვას.

ისევე ლოკვად დგას.

ისმონდა ხმა მონაზონთა.

ცოცხალი ხატებაა, უზენაესი რწმენისა.

და ყველა თავ—თავის სენაკში შედიოდა.

ნინო—ქი, შესწყვეტდა რა მხურვალე ლოკვას, ცრემლიან თვალებს ირგვლივ მიმოაუვლებდა, დარწმუნდებოდა, რომ მარტოა, მოისხამდა შავს მანტიას და სასაფლაოსკენ გასწევდა.

და მივიდოდა იქ ერთ განმარტოვებულ საფლავზე, სადაც დასრულებოდა მისი ლოკვა, მერე დაბრუნდებოდა თავის სენაკში.

II

გარიჟრაჟი სიბნელის გაცრეცილ სახეს სინათლის ოქრის ისრებით შეებრძოლა, რადენიმე წუთი და ყვავილოვანი ბუნება კისკისა მზემ გულზე მიიკრა.

მონასტრის ყოველი კუთხე მეტი სიხალისით ახმაურდა.

იწყებოდა ლიტანია, მწყობრად ლაგდებოდნენ მორწმუნენი.

ნინოს სენაკი სდუმს. მისი კარები არ იღება. ისმის ძახილი—მოსიყვალულე:

—სად არის ნინო?.

—მოიყვანეთ..

—წავიდეთ, დებო გავალვითო, გავალვითო.

და შეაღეს სენაკის კარი.

დაირეკა წვევის ზარი. ყველა ტაძარში იკრიბება.

ნინო შუალამის ხანს ადგა და ლოკვად დვას. მას წინ აბრეშუმის მშვენიერი ქსოვილით იფარება სალოკავი ხატი. სანთელი შეუქმუნდალ კიმბიებს.

მონაზონნი, ვით არღილდნი, თავს ადგანან მორწმუნეს, ლოკვით ვატყებულს.

ვერ კადნიერდებიან შეუშლონ ლოკვა წმიდა. ზარი ისევე წვევას ხმით იძახის.

—ნინო!..

ის ისევე ლოკვად დგას, არ ესმის.

—ნინო, ლიტანია იწყება... წამოდი, იქ ილოკე..

ის შეკრთა. მიიხედა, სანთლის შექმნე ცრემლიანი თვლები ელვარებოდა. სდუმს.

—წამოდი, წაო!

იყო ერთხმა მოწოდება მონაზონთა.

ნინოს საგენი ნელის თრთილით ამორავდენ.

—სად?..

—ტაძარში.

—მე იქ არა... წადით თქვენ, მე აქ ვლოკულობ.

ყველა განცივდრდა.

—როგორ შეიძლება! მოძღვარე არ ინებებს ასე მოიქცე.

ნინო ერთ წუთს მიაჩერდა მონაზონთ, მერე ხატს მიაპყრო თვალები.

—მოძღვარი .

ყრუთ ვაისმა ნინოს ხმა.

—განრისხდება.. ყველა მონაზონნი იქ უნდა შევიკრიბნეთ.

ნინო მიატკერდა ხატს და ნაქსოვით დაუარა იგი

—ერთი ხატის წინ?.. არა, მე ჩემი ხატი მისვენია აქ... მასზე ელოკულობ..

მონაზონნი უტკერებენ ნინოს..

ამ წუთს ის შეცვლილიყო ვერ იცნეს... ერთხმად შეეკითხნენ.

—შენი ხატი!..

—დიად, ჩემი... საკუთარი.

იქაურობა სიჩუმემ მოიცვა. ზარი დაიოკა... შეკოთენ...

—წადით!.. მე არ მოვედივარ...

ნინოს სიტყვები მტკიცე და ამაყი იყო, მონაზონებმა კივად დასტოვეს სენაკი.

III

მოძღვარი მრისხანე სახით შედის ნინოს სენაკში.

ნინო ისევე ლოკვად სდგას, ფეხის ხმა გაიგონა... შეკრთა

—ნინო!.. ვაისმა მოძღვრის ხმა.

ნინო პასუხის ნაცვლად მიაჩერდა მოძღვარს.

მოძღვარი მიუხელოვდა ხატს, ხელი გაიწოდა მისკენ—სურს გადასწვიოს ნაქსოვი, რომელიც ფარავს მას.

ნინო ათრთოლდა.

—ხელს ნუ ახლებო!..

—მარტო შენი სალოკავია?!

—დიად!

—უნდა ენახო.

და მოძღვარმა გადასწვია ნაქსოვი ნინო სენაკის კიეს კედელს აკრა, მისი სახე სანთლის შუქმა ნათლად გამოანაკეთა.

გამოჩნდა ხატი... მოძღვარი გაქავდა, ხელი ქსოვილზე გაუშეშდა.. მისჩერებია, არ სჯერას.

საერთო სარწმუნოების სიმბოლოს ჩარჩოში ვიღაცა უცნობის სურათი დაინახა.

სახე მისი არ იყო ზეციური, ის მიწიერი იყო, თმა ხუჭუჭა, ლამაზი სუათი.

—ნინო... ვინ არის ეს ხიწიერი, რომელიც წმინდა ბგსა სენაკისასა სალოკავ საგნად გავიხდია?.. ჩამოხსენ!

ნინო ადგილიდან დაიძრა, მივიდა ხატთან და ფარად აეკრა მას.

—სცდები მოძღვარო!.. ბიწიერი არ არის, ის ჩემი სიყვარულის ჩამქრალი ხატებაა.

მოძღვარი აენთო, მისი ხმა ყველას გასაგონად ვაისმა სენაკში.

მრუბო!.. წაბილწე სამოსი მონაზონისა.. განვედ სარწმუნოებისა ამისაგან.

ყველამ გაიგო ეს ხმა წყვილი. და ის განიღვენა...

\* \* \*

ყველა ლოკვად დგას. ლიტანია დაიწყო. სევდიანად ახმაურდნენ ზარები, მას უერთხებდა

გალობა მონაზონთა.

იქ ქი, სასაფლაოზე, ნინო ხის—ჯვარის წინაშე ცრემლად იფერქვოდა.

გულზე მიეკრა თვისი სალოცავი ხატი და მასზე ლოცულობდა.

ვათავედა ლიტანია, მიწყნარდა ყოველივე... უკანასკნელად შემოპკრა ზარმა, და წინის მორწმუნე სულში სიცოცხლის სიმძივ გაწყდა..

მეორე დღეს სასაფლაოზე მეორე ხის ჯვარი აღიშენებოდა.

კ. გერგეხელი



ოფიცერი—სტუმარი—ბ-ნი შილტოვი (ვ. დოლიძის აქეთი და კიტე“ დაწ

ლალი კახეთის მაღალ ნიჭიერ შეილს, ქეშმარიტ ხელოვანს სულმდაბლობა, მეღაქუცობა, გაძრომ-გამოძრომ არა სწამდა. და ერთი მიზნითავე იცეც იყო, რომ ის არ ეღვარებდა, რის ღირსიც იყო...

მოგვხსენებათ რაი წლის წინად ჰინნთა შეჯიბრებაზე, სადაც 12—13—დღე საპირო ნაწარმოები იყო წარმოდგენილი, უცხო სპეციალისტების ჟიურიმ მხოლოდ რაი ნაწარმოები მოიწონა. მოწონებულთა შორის რაივე კაცუშასი აღმოჩნდა (ერთი ჰინნი). მეშურნებამ ისეთი ქსელები გააბ-გამოაბა, რომ... კომპოზიტორმა ხელი ჩაქიწა: ასეთ ინტრიგანებში არაფერი ვაკეთებდებო და, როგორც სჩვენებია, ბახუსს ეხიარა...

კიკუშას ჰინნი დღემდე მივიწყებულია... სად არის პატრონი?

შურ-ღვარძლიანობა და დაბალმა ქიშობამ არ უნდა დაჩდილოს ქეშმარიტი ხელოვნება. კიკუშას ყოველი ჰანგი დიდი განძია ჩვენის ეროვნულ სამუსიკო შემოქმედებისა და, ამიტომ, საჭიროა დროით შეიკრიბოს გამოიცეს, რათა ერის შეილის გულიდან აღმოხეთქილი მარგალიტები—ტკბილი ჰანგები ერსვე დაუბოუნდეს.

მისი გარდაცვალების ექვსი თვის თავზე მაინც მოვიხადეთ მისდამი მოვალეობა. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ მისი კოლშეილი სიღარიბეშია და ყურადღება ეჭირვება. განსაკუთრებით ყურადღება შეიღებოს,—ეგება მამის სამუსიკო ნიჭი შეიღებოსც გამოჰყვეს.

ამას გვავალებს ჩვენის სულის მესაიდუმლე—დაუმთავრებელ ჰანგის შემქმენელი კიკუშა სულხანიშვილი..

ექიმი შტოკმანი

### კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი

(6 თვის თავი)

სიმი გასწყდა—ჰაერში მაინც მისი ბგერა ისმის.

კიკუშა სულხანიშვილი ჩვენი ეროვნულ მუსიკისთვის ის გაწყვეტილი სიმი, რომლის დაუთავებელი ჰანგი ჯერ კიდევ ობლად დიდხანს იბგერებს, ვიდრე სამეიერი გამოგვიჩნდება.

მაგრამ როდის გამოგვიჩნდება, ან როგორ?

ექვსი თვეა, ჯერაც ვერ მოუყარეს თავი კიკუშას—მარგალიტ ნაწარმოებთ და ვერ გამოაშუქურეს... მართალია, მან თავისი დიდი შრომა—ოპერა „პატარა კახი“ ვერ დაასრულა, მაგრამ უკანასკნელ სცენამდე (დაჭრილ ლეგენის შემოსვენებამდე) დაწერილი ჰქონდა. სიკვდილის წინად, ვიდრე ავად გახდებოდა, ოპერის თვალსაჩინო ადგილები თბილისის ჩამოიტანა, რომ „პატარა კახი“-ს კონცერტი გაემართნა. მის ადგილებს ზოგიერთ ჩვენს მომღერლებს აზღაურებდნენ კიდევ, მაგრამ უცებ ავად გადა, მთელი ნოტები სასტუმროში დარჩა, ანუ მის მახლობელთა შორის გაიფანტა და დღემდე არა ჩანს..

სად არის, რომელმა ბოროტმა ხელმა წაგრაგნა? იმას ხომ ვერვინ ვაბედავს სთქვას, არა ჰქონდაო, როცა „პატარა კახის“ ბგერს ადგილს ახლაც მღერიან და ეს მომღერლები, კიკუშასგანვე გაწვრთნილები, დღესაც სცოცხლობენ.

გაჰქრა ნაწერები, მაგრამ თვითშემომქმედ კომპოზიტორის ჰანგი მაინც ჰაერში ბგერს.

ხმა ამოიღეთ, ვისა ვაქვთ მისი ნოტები?

კიკუშას ბედი არა სწყალობდა.



### ქართული ხელოვნება

(ჩემი შენიშვნები)

1801 წელი უფლებრივი დაკანონება იყო იმ ნელ პროცესისა, რომელიც მალულად თუ აშკარად ხდებოდა ჩვენს სოციალურ განვითარებაში. თვის ისტორიულ შარაგზას ასცდა ჩვენი-მწერლობა-ხელოვნების განვითარებაც. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ჩვენს სოციალურ განვითარებაში სიკვდილის ვამეფების ხანა იყო: ორბელიანების კლასიური პესიზმიმ მკრთალი გამოძახტველია იმ ტრადიციომედიისა, რომელიც პოლიტიკურად მკვდარ და სოციალურად მოღუწებულ ერის ცხოვრებაში ტრიალიდებოდა. ბარათაშვილის სვედიანი ძახილი სულის ობლობაზე, უთიესტიმობა—უთიმელობაზე—შედგვი იყო ძლიერ ეროვნულ ჰილიბისა, რომელიც განიცადა საქართველოში. ხოლო გაფორმებული ბაიონინის სტიქით პოლონეთის მწერლობაც საკმაო გავლენის სტიქებდა ჩვენის ლიტერატურის მიმართულებაზე, პოლინელ სწავლულთა ზეგავლენით (იხ. ზ. კიკინძის შრომა „ბარათაშვილის პოეზიის მოტივები და სოლომონ დიდაშვილი“).

ამ ხანის ჩვენი ლიტერატურის მკვლევარი ძლიერ შეძრწუნდება, როდესაც ძლიერი ისტორიულის ინტუიციით შეიჭრება ჩვენი ამ ხანის სოციალურ აზროვნებაში და იხილებს ათას მტვერ-წყარო ხატებს.

მაგრამ სოციალურ განვითარებას ხომ თავის კანონები აქვს. იგი დილაექტურის ნახტომებით ვითარდება—ეს მისი მუსიკალური რაიონია.

ჩვენი ხელოვნების განვითარებაც ამ კანონებს უნდა დამორჩილებოდა. მიემართოთ ფაქტებს.

ნურავინ იფიქრებს იმის მტკიცებას, რომ ჩვენს განვითარებაზე გავლენა არ უნებნადეს ჩვენს აქით მომხდარ სოციალურ მოძრაობათა ამბებს, კერძოს საზოგადოებრივ აზროვნებას. მიმტყსივე — ვერ ვიდევ მეთვრამეტე საუკუნეში ითარგმნა ჩვენში, განმანათლებელთა ფილოსოფიის აზრისა და ევროპის ყურწმაცე ქონდა ვასავალი. ხოლო დანიელ ჯონქამე — პირველი ნაზიარები იყო საქართველოს რეალურ სინამდვილით და შემოსულ აზროვნებით. ბარათაშვილი პირველი გამოხემაურა საქართველოში ნოვაციონის რომანტიულ ყივინას და მით „შეტევის და ქარიშხალის ხანაში“ ჩვენშიაც ჰპოვა გამოხემაურება. ნოვაციონის ხანა „Sturm — und — Drang — Perioden“ — ის იყო ხანა იმედის გატრუბების; დიდი სოციალური მოძრაობა, საფრანგეთის რევოლუციის შედეგი, გერმანიის ისწაწრმკვეთი სინამდვილე, ჩამორჩენილობა, აი ყველა ის მიზეზები, რომლის დევნივად მოყვა რომანტის ფილოსოფია. პირადი „მე“ წარსულში და ოცნებაში მოთქმა — დაკარგულ ბედნიერებაზე, სცენაზე მდიდური გამოსვლა პიროვნებისა, ხოლო სოციალურ კოლექტივის ისტორიის სარბიელიდან განდევნა, — აი კინტრესენცია რომანტიკის ფილოსოფიისა. ძმანთა ბაუერების ელექტიური იდეოლოგია, საშინელი და საძაველი თვით ექვიანობა „კრიტიკულ მიზაზროვნენ“ გერმანულ ინტელიგენციისა — და ყველა ეს — თუ საზოგადოებრივ მეცნიერების ყველა დარგში, როგორც სრულიად ჩამქალის, ჩვენს პოეზიაში განსახიერდა.

ნიადაგი კი საამისოდ ნოყიერი დაახვედრა ჩვენში ფეოდალიზმის სტიქიამ...

და ასე გაგრძელდა დიდხანს. ერის მაჯის ცემა შეჩერდა. ფეოდალიზმის განვითარება სიცოცხლეს უსპობდა ერს და, გარდა ამისა, გარეშე ძალის ზეგავლენა ყოველ მხრივ მხად იყო ეროვნული სიცოცხლის ელემენტები სიკვდილის *pust factum* დაყენებინა. მაგრამ იმანენტური მხარეები ფეოდალიზმის განვითარების ისტორიული აუცილებლობით უმზადდებდნენ მას, როგორც სოციალურ მოვლენას, სიკვდილს.

მაგრამ ამ მოვლენის სასიკვდილო აქტი თვით შიგნით როდი მომხდარა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებით — რეალურ სინამდვილით, „არამედ — უცხო ძალის ჩარევით, რამაც შესამჩვევი კვალი დაამჩნია ჩვენს აწინდელ სოციალურ განვითარებას, რომელსაც დღესაც კი ვგრძნობთ.

რომანტიკა ყველა ამის მიხედვით ძლიერი შეიქნა ჩვენში, — ხოლო იგი მრავალ ვარაიებებში გადადიოდა.

მესამეეულ წლებში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება ალორძინების ვაზს ადგია.

— დიდუწუნებოვანი ილია ჰველობს ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებას.

ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში ახალი მოტივი ისადღურებას. ეს არის მოტივი **ეროვნული** და აქ იწყება ჩვენი ხელოვნების ახალ ემბაზში გადასვლა.

მასსა შეიქნა საზოგადოებრივ აზროვნებაში.

იგი ხელოვნებაშიაც ისადღურებს. ახალი ელემენტი, რომლის ნასახი ფეოდალიზმის ელემენტების სიკვდილთან ერთად ჩაისახა სოციალიზმში, ეს კაპიტალისტურ საზოგადოების პირველი ტრანსფორმაციაა, მისი ასე თუ ისე გაფორმებებით გამოსვლა. სოციალურ სინამდვილეში ახალი გადაჯგუფება ხდება — რუსეთის რაზნოინტების მსგავსად ჩვენშიც დაიბადა ლიტერატურის სამეფოში „ხალხში მოსიარულეთა ინტელიგენცია“. რ. ერისთავის მიავნო ქარ-

თოლ ტეტისა. თუმცა იგი სრულიად განთავისუფლებულია რომანტიკის ზეგავლენით. ხელოვნება ეროვნულ პრობლემის და სოციალურ კითხვათა გადაჭრას შეუდგა. ბევრი დიდი თავი და ღრმა გული შეიწირა ხსენებულმა პრობლემებმა ხშირად ხელოვნება გ. ფორმებული პუბლიცისტიკით თავფეოდა. „პოეზია მოკვდა, დიდად პროზას ხანა“ — ი, იფიქრებს ქართველი მკითხველი. წინააღმდეგ: მხოლოდ პოეზია შეჩნა კემწმარტ ხელოვნებას, მის იდეის მტარებლად. ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა ამოსწორავენ ჩვენს პოეზიის სიმდიდრეს ლეიბ-მოტივი მათი პოეზიისა ეროვნული პრობლემა, თუმცა მათ პოეტურ აზროვნების გაქანებას პარალელურად უნივერსალური ხასიათი კი ქონდა. უკანასკნელი ყველა სიცოცხლის პრობლემებს პანთისტურად ავეიხსინს, ვეცსურათებს.

ჩვენ ამ მოკლე წერილში სასუბით ვერ განვიხილავთ ჩვენი ხელოვნების განვითარებას მე-XIX-ს. მეორე ნახევარში. ხოლო ვიტყვი: ჩვენი ამ ხანის, როგორც ხელოვნება, ისე საზოგადოებრივი აზროვნება, უადრესად პროგრესიულია. იგი ცდაა ძველი შეცდომების გამოსწორებისა, ხოლო სოციალურ კოლექტივის სულ სხვა პოლიუსიდან წარმოშობილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

პ. კეკელია

## პროვიზსიის მოღვაწენი



არჩილ სოლომონის ძე ციხისთავი

თავზე ხელადებული, თავგანწირული უნდა იყოს კაცი, რომ ქალაქის ცხოვრება მიატოვოს და ჩვენს ყრუ დება — სოფელს შევლიოს თვისი სიცოცხლით.

ასე ფიქრობს დღეს ბევრი და აკი სოფლიდან ქალაქსკენ მოისწრაფიან, ხალხს კი ღვთის ანაბრობაზე ანებებენ თავს.

თუ ასეა დღეს, დღეს, როდესაც სოფელში მუშაობა არც ისე ძნელია, რა უნდა ყოფილიყო ჰა წლის წინად, როდესაც ერის მხრით თვით ხალხი ვერ იგუებდა „ნაპწაულს“, მეორეს მხრით ძველი მართებლობა სდევნიდა „ბუნტოვნიკად და ნაროდნიკად“ მიჩნეულს ყოველ სასოფლო მომუშავე ინტელიგენტს.

ზემოვთ გამოსახული ადამიანი — არჩილ ციხისთავი ერთი იმ მკითრე მოღვაწეთაგანია, რომელმაც მთელი თვისი ძალიონე პროვინციის კულტურულ-ხელოვნურ წინსვლას შეაღია და დღესაც ჰაბუტური გატაცებით ემსახურება მას.

სენიარის მესამე კლასიდან გამოძევების შემდეგ (აქ მისივე ხელთნაწერი უფროსი „პირველი ნაბიჯი“ და არა ლეგალური წიგნები დაუბრუნეს), სამსახურში გამწესდა (მსახურებდა განჯისა და ერევნის გუბერნიებში, ქ. გუმბრის, სურამლინისა და გუმბრის მაზრებში, თელავში) ამავე დროს თვალყურს ადევნებდა სამშობლოს მადის ცემას და ყოველს ღონისძიებით ხელს უწყობდა ადგ. მამული შვილურ — გოგნულ იღის გაღვივებას. თანამშრომლობდა „ივერიაში“ (ა. სოლომონიძის ფსევდონიმი), „მოგზაურში“, ივ. როსტომაშვილის ლექსიკონში და სხ. ქ. გუმბრში დაარსა ცენის მოყვარეთა წრე და ხანნიყოლებული წარმოდგენების მართვა დაიწყო. აქვე წ. კ. ს. ვამბეკობს ჰოთავჯღონიანობდა. 1918 წ. ოსმალებმა რომ გუმბრის აიღეს, არჩილ ფ.-ტელეგრაფის უფროსობა ჩამოართვეს, საქალაქო საქმეებში ჩაება, როგორც ქალაქის თვითმართველობაში არჩეული, და დიდი ამავე დღესივე ქალაქს. აქ ირ თვის ოსმალთა ტყვედ იყო. საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, დედა სამშობლოს მოატანა. აქ პირიქის სხედასხვა კულტურული დაწესებულებებში. დიდი ღვაწლი მიუძღვის საშუალო სახ.-ის თელავის განყოფილების დაარსებაში. დღესაც მისი გამგეობის თანავჯღონიანობა. ამ განყოფილებას უკვე საქეთიანის სამხსიკო სასწავლებელი აქვს. აგრადვე მხოლოდ მონაწილეობას იღებს სხვა კულტურულ დაწესებულებებში. რევოლუციის პირველ დღეებშივე, 1917 წ. 1 მაისს კავკასიიდან დიდიუღონად გაიგზავნა მ. სკოკის რუსეთის ფ.-ტელეგრაფ. მონაშსახურეთა ყრილობაზე და ორგანიზაციებში თვალყურს ადევნო ქმნა. ფ.-ტ. უწყებაში, ვიდრე ნაციონალიზაცია გამოცხადდებოდა, არჩილმა თელავის ფ.-ტ. უფროსად დანიშნისთანავე საქმეები გააერთიანო. სხვადასხვების გატაკებელი მოყვარულია, განსაკუთრებით თეატრის, და ერთ საუკეთესო ნიჭიერ ცენის მოყვარედ ითვლება. კოვად ასრულებს სიმხისა და თვადი-შვილის როლებს.

საერთოდ ყოველ საზოგადო-საჯულტურო საქმეში დიდის ხალხით მუშაობს.  
უსურვით მხნობა.

ი. — ელი

## ქართული საგუდაგო თეატრის დაარსების ისტორიის გასაღები

1832 წ. შემდეგ ქართველ ტომის არსებობის საქმე საეჭვოდ გახდა, მთელმა ერმა თავის თავზე ხელი აიღო. ამახედ იყო, რომ ილ. ჭავჭავაძემ ვრცელ ორბელიანს უსაყვედურა: თქვენ არ ხართ ისა, რომ დიდილი ენაზრძაებით დასთხოვ; შიშით თქვენ მას არც საფაშოდა არც ქარში აღარ ხმარობდითო.

სხვანაირი წლებში შემდეგ, საქართველოში მოვიდა მთავარმართველი კორინციოვი. ამა ქართველები გაიცნა, ნახა ამ ერის საქმეები და დარწმუნდა, რომ ამ ერს სამი-ში ანუ მთავრობის საწინააღმდეგო არა აქვს რაღა.

მართლაც და ეს სწორედ ასეც იყო. ჩვენ მთავრობის კი არა, ჩვენი თავის და ცხოვრების წინააღმდეგო ვიყავით—ყუდილით მამულებს, ვეპირებით გლახებს, ვევიდობდით, ვლოპობდით, მამულებში შეცილებით ერთმანეთს დავა—ვარაბას უტყებდით, მით ვიღუბებოდით და ვისპობოდით უტყრებოდით და უჩინარად.

მაშინ არ დარჩა ერთი რომელიმე ქართველი შეძლებული გვარის წევრი, რომ მილიონის მამულებს არ გაეყიდინა და არ შეეკანა. ასეთ ერს კი, ასეთ გულ-უბეს და ქარიფანტიებს ერთი უბრალო წიგნი, უფროსი და განეთიც კი არ ჰქონდათ. თეატრის სხეულობა სულ აღარსად იყო. ამის მაგიერ ქართველებმა კრივი იცოდენ, ყომარი, ბითური, ცხრა და სხ. ამ გვარნი, რასც ვაბატანვ ორბელიანი დიდის წყველით და ცრემლის ღვრიით მოიხსენებს. ასეთ ერს მთავარმართველმა საწუხარო

თვალთ შეგება, მისმა სიბრაულმა ქართველებს სირცხვილის ღიმილი მოჰგვარა.

1850 წ. თბილისში გ. ერისთავმა უფრ. „ციცქარი“ დაარსა, მასთან ქართული პიესებიც დასწერა, მალე თეატრიც გაჩნდა. ქართველთა ცხოვრებას 1850 წლებში ცოტა რამ სახე მიეცა.

გიორგი ერისთავს მოჰყვა ზურაბ ანტონოვი, გიორგი, თავის დროს ნიჭიერი მწერალი და მოკლე დროში უღვითო დაღუპული. ამ ირო პირის პიესებმა ქართულ თეატრს 1850—53 წლებში სული ჩაუღმა. ამ სულის ჩადგმის მთავარმართველიც აძლიერებდა. ამ გარემოებას დიდი ისტორია აქვს. სამწუხაროდ, ქართველებს არც ეს გაღვივების ხანა შერჩათ დიდხანს. 1854 წლიდან, რაკი მთავარმართველი სხვაგან გადაიყვანეს, ქართველნი კვლად მოემწყვდნენ რუსთა უჭვლდამართობის სუღარის ქვეშ. მათთვის აღარც წიგნი იყო, არც თეატრი და არც არა სხვა ამ გვარი. გ. ერისთავმა 1853 წ. გასულ, ანუ 1854 წ. „ციცქარი“ დახურა სტამბა დაკეტა, თეატრიც მოისპო. ზურაბ ანტონოვი უსაქმოდ დარჩა და მალე მიიცივალა, მათი ყოველი ჩაბარდა საიქიოს. ასეთი სურათი გადაეფარა ქართველებს 1855 წლებიდან.

თუმცა ქართველების დაძინების აცანი ამ წელს მძღვარად დაიპრეს, თუმცა ქართველთა სიკვდილი მიეცა, მაგრამ მიინც ამ დროსაც აქა—იქ თითო—ორილა კაცი ბეუ ჰავეთ 1857 წ. განახლდა „ციცქარი“. 1858 წ. განდენ ილ. ჭავჭავაძე და აკაკი; ამათ მოჰყვა ივ. კერესელისი გოდება; მალე ქართველ ერს თვალთ ხილვის ნიშანი დურჯყო. 1860 წლებში ხანდისხან წარმოდგენებსაც მართავდნენ. ასე თუ ისე, ქართველმა ერმა თავი დაანჭია სიჭკნო და მცონარეობის ხანას. თუმცა ამ დროსაც, ჩვენში სხნდებდნენ ისეთი პირნი ორბელიან ლაპარაკობდნენ: ქართველი ერის საქმე წასულიათო. კაცი იბადება, გზირდება, ბერდება და მერე კვდება. ქართველ—ერმაკ ვაიათა ეს სამი ხანა, ენოა ივინი სურამში წვახან და მიწის მიერის მეტი აღარა უმეტდითათო. ამ აზრებს საჯაროდ კითხულობდნენ ლექსებშიც. ასეთი იყო იმ დროის კლასიკური გენნახიის დოგმატორი ჟელოზვისკი. ამ პირის მოძღვრებას გიორგი მუხრანსკიმ ხოსულ გადააბრძა. ამ ყალბმადა ცრუ „მეცნიერმა“ ჩვენის ტომის მოსპობის ხანა თვით ჩვენის ცხოვრებიდან გამოძიხილ ცნობებისაგან გვიკარნახა, მაგრამ ერთიც და—მეორეც იყო მხოლოდ მუქარება და უმეტრებით სახესე მელდურების ნაყოფი, თანედური ბოდა.

საბუნდოვოდ ეს ბედშავი ხანაც გააღეთ: რასაც ჩვენი ტომი უნდა შეეკანა, იგი თავის ზეიდლობა—ბოროტება შეეკანა ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ოადგანაც რაც ბუნებრივად არ ხდება, მისი არც არაუფრო შერდება. 1863 წ. ილ. ჭავჭავაძემ დაიწყო საქართველოს მოამბეს“ გამოცემა. 1865 წ. თბილისში რამდენიმე შეგნებულმა ქართველმა გახსნა კაი ქართული სტამბა, 1866 წ. იწყეს ქართული გახეთ „დროება“-ს გამოცემა, 1868 წ. „სახილვო გახეთი“-ს 1869 წ. უფრ. „ციცქარს“ უფრ. „მნაობიცი“ მავთა. 1871 წ. უფრ. „კრებულა“ ამავე დროს გამოსცეს სახალხო წიგნებიც 1875 წ. გამოვიდა პიოტრად იაკ. გოგებაშვილის „დედა ენა“. ყოველივე ასეუწარმა ტებსთან წარმოდგენებაც ხალხში სული ჩაიღმა. ასე თუ ისე გაიღვივა ქართველი ერის სულის შთამბერაენი იყენენ 1857 წ. „ციცქარი“ და მისი რედაქტორი ივ. კერესელიც და ნამშრომელიც აკაკი, დ. ყიფიანი, დ. ქონიძე, ბ. არღაზიანი და სხ. 1863 წ. უფრ. „საქართველოს მოამბე“ და ილ. ჭავჭავაძის კალამი. 1860 წ. ვახ. „დროება“, რედაქტორი გიორგი წერეთელი მის მარჯვენა მკლავში ნიკ. ენკოლაძე, სირაგი მესხი და დიმ. ბაქრაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხ. უფრ. „მნაობიცი“ რედაქტორი ნიკ. ავლიშვილი, თანამშრომელი ანტ. ფლოცკლაძე და რამდენიმეც სხ. უფრ. „კრებულა“ და მის რედაქტორ—თანამშრომლები, ამათ ვარდა თითო ოროლა პირნი, როგორც თბილისს, ისევე ქუთათის და საქართველოს სხვა და სხვა კუთხეების დაბასა და ქალაქებში.

(გაგრძელდება იქნება). ზ. უიქინაძე



მტრის მოლოდინში

ნახატი ვალ. სიდ.—ერისთავისა.

## საეშომლო გვიძახის!..

(ძღვინად იოსებ არიშაიძეს)

ჩემს საშობლოს ტის ტატნობზე კვლავ დრუბლები აფერხვრთადა!  
ბოღმა, შური, დვარძლი, მტრობა, შთელის ძალით ამოძრავდა..  
და მოიღვრის, მოისწრაფის, ჩვენი ერის ჩასწოქეულად;  
გლოვა, ვიშის მოსტანად, შუე სიკვდილის შესაქმნელად..

მოისწრაფის, რომ ჩვენს მხარეს დაუეხოს სისხლის ტბები!  
თავისუფალ საქრთველს სურთ დაჭრან წინსვლის ფრთები..  
და ჰა, ჩემო ერის შეიღწო! წუთი გვიდგას საშინელი—  
შოდის მტერი, ჩვენსზე ღამობს გამარჯვებას სისხლის მსმელი..

და საშობლო თავის შეიღებებს გვიეფის და გვიხმობს თავისკენ..  
—აღსდექთ გვირნო! დარაზმით საბრძოლველად, გასწით მტრისკენ!  
გასწით, გასწით და თავსუდ მტერს შესხვედრეთ თქვენი ძადა..  
დე, იცოდენ თქვენს ძარღვებში ჯერეთ სისხლი არ გამქრავდა!..

დე, იცოდენ ჩვენ სხვას არ გმტრობთ; სხვას არ სჩაგვავს ჩვენი ერი!  
მაგრამ თუ გი თავს დაგვესხმის ჰვის ძახვით, შვი მტერი..  
მაშინ, მაშინ შერის გრძობით ვიო ზატრუქი აუნთებით..  
ვიამაზნებთ, თავს გასწირავთ, მტერს ვეკვეთით შიშველ სმლებით!..

მაშ, აღსდექით გვირთა გვირნო! ერთსუღოვნად გასწით მტრისკენ..  
ჩვენი დღეს საქრთველი დასაჯავად გვიხმობს თავისკენ!..

დ. პანკათელი



ბრძოლა ნახ. ვ. სიდ.-ერისთავისა

### სურათში

(სახსოვრად ნინო მძინარიშვილისას)

მარმარილოსგან გამოიკვეთე ტანი მარმარი, ტანი თოკლისა,  
 თუ ღვთის მშობელი გადაიფარე—ხატი, თამადა სვეტიცხოვლისა!  
 ქვირფასო, შავ შვერდს რამდენი გარდი დასტირდებოდა ამოსავსებად..  
 ან რამდენ დამეს უდიდოდ თევა შავ თვალთა გუბის ბნელის მკსავსებად?  
 თვით ვაზაფხული—შენზედ შედოდა, მიზე სიუმიძახეს ვერ დამწამებდა.  
 შავ წარბთა ჩრდილს ქვეშ—რის იას ტოტი სოსანს კუნწვლებს აწამწამებდა  
 რა ვიცი, იქნებ დმურთს შესცდა შენი ასე დახატვა.. ასე აზარდვა,  
 თორემ—რის გქმნიდა თავის მოჭიშხედ ან არ ფიქრობდა, ან არ დაზარდა?  
 დახვად და წელზე გეხვევა ვაზი, თვალბეში ზღვა სთვალემს დამწვარ მუხისა,  
 დახვად და ტანი ისე გერხევა, როგორც ჭანგები ჭანხუნისა.  
 და შე შენს შემდეგ მძულდება ქალი.. და ასე უფრო მიტომ მძულდება,  
 რამ შოთას მუხას—თამარის სახელს.. თავისი უავლი შ უსრულდება,  
 და მართაფც. ალბად, დმურთს შესცდა შენი ასე დახატვა, ასე აზარდვა,  
 თორემ რის გქმნიდა თავის მოჭიშხედ; ვით არ ფიქრობდა... ვითარ დაზარდა?!

ი. მთავარილი

### კუთხე ავგოგელი

ხალხური პიესა ერთ მოქმედებად, აზრი „მახტრიონიდან“

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი :

- კუთხე, მთიული დედაკაცი — 45 წ.
- წიწოლა, შვილი მისი, ომიდან გამოქცეული — 25 წ.
- მზია, მთიული ქალი, წიწოლას საცოლო — 17 წ.
- შოკრიკი, მეომარი — 23 წ.
- მოხუცი } თემის რწმუნებულ — 55 წ.
- ეფხო, } პოციტელნი — 51 „
- მანდილოხანი } (უსიტყვოდ) — 48 წ.

(მთიულთა სოფელი. გზის პირი. ქოხი, ბაკი. აბოლოვე-  
 ბული ურემი. თენდება. ქოხის ვასწვრივ წიწოლა კლდე  
 ხრამს ვადაყურებს. მთის კალთებზე ბურუსია, ოზბივარი.  
 მთის წვერებს მზის სხივები ეფინება. ტყისკენ ძაღლი  
 ვილაკას აუფუს)



მარიამ წინამძღვრიშვილისა

მწერალი ქალი, ქართული ყურნალ-ვაზუთების ძველი თა-  
 ნამწრომელი, ამ ეამად ავადა. მისი ნაწერების კრებული  
 მოკლე ხანში გამოვა.

I

კუტი, მზია

კუტი (დერფანში ტახტზე მუხლებ-მოკეცილი ზის; ართავს. გაიხედავს; საიდანაც ძალის ყეფა მოისმის) აბაი, სატელი, რას დაემა, ვის უყვებს? ერთი გამოხე, მზია... (გასკეპრის) საკაცეთი მოლაღ ომში გაიკრიფა და, ნეტა, ამ დროს აქ ვინ იქნებები?

წიწოლას ხმა (ძალის უყვავებს) თოლია, თოლია, სამკლე, ვეღარ მიკან თუ!

მზია (ტყისკენ იტკირება) დედაისი, წიწოლაა, წიწოლა! (გაემართება)

წიწ ხმა (ახლოვდება) აჰა, ძალო, შე ვერანა! (შემოდის სწრაფ ნაბიჯით, მოპარვით, თითქოს ვიღაცას ემალებარ) დედაის ძუტუს ტირიმე!

II

ივინივე, წიწოლა

კუტი (სიხარულით წამოიწვეს, მაგრამ ვერა სდგება) ვენაცვლე ლომისას კიდევა გნახე!.. აქედ მო, შვილო, აქედ, ერთი დაკოცნო...

წიწოლა (ხევეა) შენმა ლოცვამ შემიხანა... მზიას თოლებმა მომიტაცა... (მზიას) შენ კიდევაცვლე, ჰქუა-გონება შენსკენ მოჭკოდა, ჩემო მზია! (ხევევა)

მზია (კარძალების აღშური გადაჭკრავს)

კუტი ვაა, მზია, ბატარაი მოაზხადე რამე, მშვიერ იქნების... (მზია გადის) ცხო, ჩვენებმა რა ჰქნეს, შვილო, როგორ ილაშქრეთ?

წიწ. (ოცა შერცხვილი—შეწუხებული) მაგისას ნუ-რას ჰკითხავ დედაისი!

კუტი მაშ რისა უნდა გკითხო შვილო: დღე-ღამ ჩემ საფიქრალ ჩვენ ლაშქრის ბედაი—გაივმარჯვებთ თუ ისევე ურჯულოთა ხელში დავრჩებით...

წიწ. ვერა, დედაისი! მართალია, კარგი მსროლელი-ბი ვართ, მაგრამ უეცრად გასულმა, ნაწყქმსარმა და ნამ-გალ-გუთინის მჭერალმა თათრის გაწითენილ ჯართან რო-გორ უნდა იომოს?

კუტი შვილო, შვილო! მერე ეგ სიტყვები შენგან მესმის? მითულის ხმალსა და სიათას უსჯულომ როგორ უნდა აჯობო?

წიწ. არ აჯობებდა, მაგრამ საქმე ბერაყფულად იყო დაწყებული... ფეხ-ბანდლიან ოზოლ კვირიას და მებზო-რე ლეღიას ნაფიქრალი განა თუ სიკეთეს გვიხამდა?! წვილიწად-ნახევარია ოსმალი ბატონობს, მივლმა კახეთმა ადგილიდან ვერ დასძრა და ახლა კვირიამ და ლელამ უნდა გარეკოს ბაქტუქობით?

კუტი ვითომ და რაიო?

წიწ. რაიო და... კვირიამ გაიტყუა ლელა—წამოდი, თუ სამშობლო გიყვარს—თავი გაფწირეთ, ქვეყანა აკ-ლებასა და სიოტხვილს გადავარჩინოთ... შენს თავს ფაშას მივარსოვდე ფეშქაშად, ფაშა ციხეში შეგვიფეებს და როცა შენ ფაშას მოალხენ, შენი ლამაზი თოლებით მო-აჯადოებ და აღერსით მოზნიდამ, ამ დროს მე ციხის კარს გავაღებ, ჩვენს ჯარს შვინით შემოუშვებ და უსჯულოებს მუსრს გავაფლეთო...

კუტი (უტრადლებით) მერე?!

წიწ. მერე—და—ლეღიაკ დასთანხმდა... მთა—ლრე-ში ნათრეე ქალა, ნაშუს ვინ მისკა!..

კუტი ნუ, დედილა, ნუ იტყუ მაგას: ფშავლის ქალ მწყემსობაში ნაშუს არ ჰკარავს... შენ ცხო სიქვი, თორ...

წიწ. ცხო რაღაი: მთაჩი ქომიჩის ჰამის ფაშის კა-რაეში ლაეაშის ჰამა ირჩია მისი ხსლობით და ჩვენი ლაშ-ქარიც გაბრუვდა...

კუტი ვაი, დედილა! რა მოუვიდა?

წიწ. ჯარი მოადგა ციხეს გუშინ, ცას რო მტრედი შეაფრინდა. ასტყდა საშინელი სროლა, ციხიდან ცეცხლი აწვიმეს ჩვენს ჯარს...

კუტი მერე?!

წიწ. მერე... მერე რამობდა... (ენცლებდა) არ ვიცი. მე მომაგონდი შენ, მომაგონდა მზია, და წამოვედი... გუ-შინ მთელ დღეს ტყეში ვიყავ შეფარებული, რო წყეულ თათრებს არ დავენახე...

კუტი (ფიქრში წასული, ნაწყენი) მერე?

წიწ. მერე და... დღეს ძლივს გადმოვლახე გორეი, ხევ-ხევიბი, რომ მენახეთ...

კუტი (შეწუხებული მუხლებში ჩაიკრავს) ვაი, ძუ-ძუტუბო! ვაი!.. როგორი მამის შვილ ხარ?! მამაშენ არ იყვის ავეთ ლარჩა...

წიწ. რისთვის იწყველი თავსა?

კუტი (სასოწარკველით) ძმებს როგორ გამოწყვიდი, შვილო, ძმებს სადაც ისანი იდაგებან—რატო შენც იმათთან არა კვლები... დედის ერთა ხარ, სიყვარულით გავხარდე, იმტომ ხომ არა თავს სირცხვილი მაწვიმო?!

წიწ. საქმე იყო უხვიერი, უყავკო, უჭკუო, და თავს რაზე შევკვალდი? (მომისმის თთვის სხმა, კლდის ტლაშანი. წიწოლა შეკრთება, წამოხტება. კიდევ თო-ფი. წიწოლა მიიხედავს, თან უკან-უკან იხევს. შეშინე-ბული, ვიღაცას შენიშნავს) დედაისი, თუ მიკითხოს ვინ-მე, უთხარი არ მისულათქო! (უკან გადახტება და ხეს ამოეფარება)

III

ივინივე, შიკრიკი

შიკრიკი (საფეთქელ-ახევეული, ნაჭრევი ტყუობა) გამარჯვება დედილა!..

კუტი გამარჯვებულმაც გამყოფოს შვილო: სადაუ-რი ხარ, ლაშქრობიდან თუ...

შიკრ. სწორედ და გამარჯვებითაც მოვედიართ...

კუტი ვეცრად მაგ სიტყვისთვის, ჩემო ნუგუმის მცემელო!.. (შემოდის მზია საქმელ-სასმელით)

IV

ივინივე, მზია

შიკრ. ისე მოგსმეთ უსჯულოს ხსენება, ერთი მოამბეც არ გადარჩენილა!

კუტი (წამოიწვეს) მოდი შვილო, მოდი ე მაგ ნა-ხმლეშში გაკოცო... (ჰკოცნის. დაუძახებს მზიას) აკოცე, შვილო! სამშობლოს გვირბის ჯილდო ლამაზი ჰალის კოცნა... (მზია მორცხვად აკოცებს მუბლზე) შვილო, შვილზე უტკებეს! რა ქენით, როგორ ილაშქრეთ? ვინ დარჩით, ვინ შევერით მამულის დახსნის დიდს საქმეს?!

შიკრ. გმირთა მამული ვერ დაითვლები, მაგრამ ორი გმირია, რომელთ სახეს ღმერთი მუდამ გულში ატარებს... მწყემსი ქალი ლელა და ოზოლ კვირია! კვი-რიამ და ლელამ თავი დასდევს, როგორც წმინდა ზეა-რებმა: კვირიამ ლელა ფაშას მიათვა, ვითომ და ფეშ-ქაში. და როცა ჩვენი ლაშქრის მისვლის ხანი მოახლოვ-და, კვირიამ შინიდან კარი გაგვიღო; ჩვენ ხმალ და ხმალ შევკრინით და თათრებს დავგერივით, მაგრამ ლელა და კვირიაც კარებში ენახეთ ყელ-დაჭრილები.

ფაშა რომ გავიოკეთ და მთელ უსჯულოს ჯარს იარაღი აეყარეთ, ჯარმა ლელას და კვირიას გაეციებულ ვაჟით მუხლ-მოყრილ თავყანი სცა...

**კუტი** კურთხეულიმც იყოს ხსენება მათი!.. ლელაი ლამაზ ქალ თუ იყო?

**შიკრ.** დილით მხეს, საღამოს მთვარე-ვარსკვლავებს ეცილებოდა... მაგრამ სულით უფრო ლამაზ გამოჩნდის... რაღა მოკლავს მის წმინდა ხსენებას!..

**კუტი** სახელი ხომ არაფერ შეარცხვინა?

**შიკრ.** თავი მოგვეტრა წიწვოლამ: შუა გზიდან გამოგვექცა და დაიმაღლა. მაგრამ თავის თავს საღდა დავალებოდა! ერთს წყევა და კრულვა მისდევს უკან... ლამაზ-ქარამა დასწყევლა, რომელღა დედამ ის შობა; შეაჩვენა, რომელ თემშია ცა აღიზარდა; დაჰკმო, რომელი ქალიც მას გაუღიმებს...

**კუტი** (წუხს, თავს აქეთ-იქეთ ახეთქებს)

**შიკრ.** (განაგრძობს) მოლაღატე გამოგვიჩნდა, მაგრამ მტერი მინც ეძლიეთ... ამ დღიდან შეგებით ამოი-სუნთქეთ, რადგან უსჯულო მტერი გარეკილია; ახლა თავისუფლად შეგიძლიათ ამოყოთ საქონელი, ჰხნათ მიწები, აანთოთ ცეცხლი... მშვიდობით, დედოღამ, შიკოკად ვარ გამოგზავნილი, ამბოს საცნობად: მთიელთ თემებს უნდა ვიცნობო ლაშქრის გამარჯვება... აგერ შარა გზაზე ჩვენი ლაშქარიც მოდის გამარჯვებულის დროშის ფრიალით... ჩვენი თავისუფლად სამშობლოს შიხის ქვეშეთ თეთრი გვიარგის დროშა კიდევ ამაყად ფრიალებს...

**მზია** (ხონჩით გამოტანილი აქვს პური და სასმელი, მიაწოდებს სასმისს)

**შიკრ.** გაუმარჯოს თეთრ გვიარგის! შეგეწიოთ მის მადლი და ძალი! (გადაჰკრავს და გაეა)

**კუტი** (მუხლზემო ხელებს ჩაიკრავს, თმის ჩამოიწუწვს, ძუძუებს გადმოიყრის, ლოყებს იხიკვს, თან მოსთქავს) ვაი, სარცხვილო... ვაი, შერცხვნილო ქერო!.. ვაი, დანთქმული კერავ, შენში ცეცხლი ვეღარ ვაღვივებდა... (მოისმის ლაშქრის სიმღერა)

**ლაშქრის სიმღერა**

მოვიღივართ გამარჯვებულნი,  
მოგვაქვს სამშობლოს საღამო;  
კიდევ ფრიალებს ჰაერში  
თეთრი გვიარგის ალაღი!

თეთრსა გვიარგის დიდება,—  
მტრად ნურავინ წაგვეკიდება!..

ფუი შერცხვენა ლაჩარსა,  
ფიცისმტეხ, აუგვიანსა;  
დიდება ჩვენსა ლაშქარსა,  
მელამაც სახელიანსა!..

თეთრსა გვიარგის დიდება,—  
მტრად ნურავინ წაგვეკიდება!..

**კუტი** (სასოწარკვეთილებით თავს შემოიკრავს, აქეთ-იქით მიმოიკენებს, მოთქმით) საღა ხარ, შვილო ლაჩარო, ლაშქარში გამოჩრეულიო..

**წიწ.** (ხეს მოფარებული, ქურღულად ათვალეერებს ლაშქარს, თან შემინებული იმალება, ვითარცა იღუმლივ დევნილი და ნაშუს ახილიო)

1 V

**ივინივე, მოხუცი, ეფხო, მანდილოხანი**

**მოხუცი** (ეფხოს და მანდილოხნის თანხლებით) ეთერო, თემმა შეიტყო შენი შვილის წიწვოლას თავისი ლაჩარობით თემის შერცხვენა... თემმა შეაჩვენა ეს ოჯახი და ყველა ის, ვინც წიწვოლას მიეკიდება... როცა მთე-

ლი მთა თავის ერთგულ გმირ შვილთა ვაჟკაცობით დღე-სასწაულობს, ჩვენმა თემმა გლოვის ნიშნად ძაძა ჩაიკო... წიწვოლამ ჩვენი თემი გასთხიზა... თემი ჩემის პირით სწყველის ამ ოჯახში ცეცხლის აზნთებს, პურის მცხო-ბელს, სახლის დამგველს... ამ დღიდან ეს ოჯახი ჩვენს თემში აღარ იხსენიება... წყევლომც იქნების თესლი მი-სი და წინაპართა ხსენება!..

**კუტი** (მოხუცის ყოველ წყევლაზე ამოვიგინებს, თავში იცემს; ბოლო სიტყვაზე გულშემზარავად შეჰხმე-ლებს) ვაი, ჩემიანთ სულეთში...

**მზია** (აქამდე ყოველივეს გაუთითრებულ —გამტკრე-ბული იმჟნდა, უკეთ ადვილიდან მოსწყდება, გაქანდე-ბა და კვლავზე გადაიბრუნება)

**ეფხო** (გამოღვდება, კლდიდან გადახედავს, თავს გაიქნევს დანახებით) სულ წაწყყენილი, სულხორციანად დაილუბა!..

**მოხუცი** ვინ იყო?

**ეფხო** წიწვოლას საცოლო, ახალ დანიშნული, ჩე-ნი თემისა...

**მოხუცი** მან თავისი სული დაიხსნა... ის ცხონებუ-ლია!.. თემს სირცხვილის ლაქა მოეცლება...

**წიწ.** (გამოვარდება სამალავიდან, გამაჟურბული) რა გინდათ; რას მერჩით? (შერეკილით) რათ წამართ-ნი სიციცხლის ნუგეში... რისთვის?! ვისთვისაც სიცი-ცხლე შეინახე, ვისთვისაც...

**მოხუცი** (აწყვეტიანებს) შენ იმდენი ვაჟკაცობაც კი არ შეგეწეს; რამდენიც ამას... თემმა დაგწყველა შენ და ამის შემდეგ შენთან სათქმელი აღარა მაქვს რა... (გაბრუნ-დება მოციქულებით)

**წიწ.** (გამწირებული) დედავ, დედავ!.. მე ხომ შენ-თვის გამოვიქცი... მე ხომ... (უნდა მოხუციოს)

**კუტი** (ხელებს გასასვლელს) გველის წიწვილი გა-მეზარდა—მეშვილებოდა, შენ რაზე მიგმე ძუძუ, რაზე?! მოიტა, მოიტა ეგ ხანჯალი და ეს წყუელი ძუძუები და-მაჰერ; ეს აღდე და მალე დასამიწვებელი, რომ შენ რძეს გაწოვებდა!.. რათ, რათ დაიკარვე სულ-ხორციანად! თავს ლდი რათ დაიხსნა?! (შარაზე მიმავალ ლაშქრის ცხენე-ბის თქარა-თქური, მწყობრი სვლა და სიმღერა მოისმის)

**ლაშქრის სიმღერა** (დაიწყება შორიდან, თანდა-თან ძლიერდება, ბოლოს და ბოლოს დაბლა ეშვება)

ჩვენი ხმალი მხეზე ბრწყინავს,  
სიმაართლეა ჩვენი ფარი;  
მზე გავნათებს, არა გავძინავს,  
გაღფუტკეთ მტერსა კარი,—

თეთრსა გვიარგის დიდება,  
მტრად ნურავინ წაგვეკიდება!..

ვაი, მშოშარს, დამაღლულსა,  
ერში, ხალხში გარეულსა,  
ცოცხლივ ქვეყნად დამარხულსა,  
ჯოჯოხეთში არჩეულსა,—

თეთრსა გვიარგის დიდება,  
მტრად ნურავინ წაგვეკიდება!..

**კუტი** (თავში იცემს, თავისთვის ჩაბღლის)

**წიწ.** (ვაშეშმიშებული) ლელა... კვიარა... ჩემი ბრა-ლი არ არის... არა! მზია, მზია! მე ხომ შენმა თოღლებმა გამომიტყუეს... მე ხომ შენთვის გამოვეცალო ომს... დე-და!.. მზია!..

**ხმა** (შორიდან მოისმის მძიმედ ხამულ-ხამულად) თემო! წიწვოლამ გვიღალატა! ლაშქარს გამოეცა! შეგვარცხვინა:

მაგის მომენი რომ მტერს ეომებოდნენ, ეგ ტყეში იყო მიმაღული და ბოლოს შინ გამოიპარა... იგლოვეთ მიი- ელთ ქალ-რძალნი და დედანა: მთელ თუშ-ფშავ-ხევსურეთში ერთი მოღალატე გამოიგვრია... ღიღნა და პატარანი, ქალნი და ვაჟნი, დღეიდან წიწროლა შეჩვენებულას... (ამ ხმას მთა მთას ვასცემს უბეთი)

**წიწ.** (თითოეულ სიტყვა სვანციდის, თითქო ვილაკის ემალებათ. უტებ ბოძს ქარვისკი გამოხსნის, ქობის მოშორებით ხეზე ჩამოაგდებს, ყულფად გამობმულს, შეხვტება, თავს ვაჟყოფს და ჩამოეკონწრალებს)

**ძალი** (სახარლად დაიწყებს ყმეილს, თითქო გლოვობსო.)

ფ ა რ დ ა  
იოსებ იმედავილი

1/-20 წ.  
მატარებელში  
სამტრედიიდან ხარაგოულამდე.



**სახელმწიფო თეატრში** აპრ. 27 წარმოადგინეს ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ავტორის ზ. ფალიაშვილის საბუნებისოდ.

ახლო წასულში ორმა შემოქმედებამ ახალა ფარდა ქართული მუსიკის სიყუჩეს.

დ. არაყიშვილის „რუსთაველი“ და ზ. ფალიაშვილის „აბესალომით“ ამეტყველდა ქართული გრძნობით ჩვენი ეროვნული მუსიკალური კულტურა. ეს იყო პირველი გამარჯვების ჩასახვა ქართული შემოქმედების პროცესში.

მატარულ ლიტერატურაში ჩვენ განვიცადეთ მრავალ სახიანობა, ფერადობა. ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებაში ბუნებრივად ტემპით შექრალი ლიტერატურული მიმდინარეობათა მთელი წყება, ჩვენში ახალიგაზღვრული ტემპერამენტის სიცხოვლით მკვიდრდება.

რეალში, სიმბოლოში, მოდერნიზმი, და თვით ფურტიზმიც—დღეს ჩვენთვის ნაცნობობის სიხალოვეში დგას.

ლიტერატურულ მუშაობის სფეროში არის თავდავიწყების პროცესის სირთულე და სიყვარულით წვა.

მხოლოდ ქართული მუსიკა არ იყო გამოქმედაში, არაყიშვილმა და ფალიაშვილმა იწყეს ქართული მუსიკალური შემოქმედების ამეტყველება.

ჩვენ პირველად ვესმინეთ „აბესალომ და ეთერს“, ავტორის ბუნებისზე, თვით ავტორისვე ლობარობით.

ოპერის ღირსება ნაკლებ არაფერს ვიტყვით. ამაზე სიტყვა სეციალისტს გუთუნის. ჩვენ გვანტერესებს ოპერის მხატვრული მხარე, შესრულება, განსახიერება. ავტორის ბუნებისზე ჩვენ მხოლოდ ორი რამ ვნახეთ საყურადღებო: თვით ავტორი სამაგალითო სიყვარულით, ვაშლილი თვლებით, და შემდეგ ალ. წუწუნავას რეჟისორული ხელი სახელმწიფო თეატრის ვრცელ სცენაზე შესაძლებელს ყოველთვის დაეკვირვებინებს ალ. წუწუნავას

შვიდი ტემპერამენტი ევროპიულ სერიოზობით. მხოლოდ ოპერის გმირთა აღმასრულებელი ვერ იდგენ საქირთ სიმალეზე.

ქართული წორწილი მეფის სასახლეში. ეს სცენა—სიმდიდრეა მთელი ოპერის. ეს სცენა—ქართული წარსულის სახეა, საქართველოს მეტყველო ტრადიციას, ქართველი ხალხის ჩვეულების სილამაზის გაშლილი ძახილი. სტუმართ დაწყება, მეფე—დელოფის ხლება, ცეკვა, სიმღერა, ლხენა, სადღეგრძელო—ყოველივე ეს ქართული უნდა იყოს. მაგრამ ასე არ იყო.

ქართული ცეკვა რუსულ გრაციებში, უხეში გოპაკის მსგავსად, ყოვლად მიუღებელია. ბაჟურნაჰსი—მიღებული ბალერინა მაგრამ სამუშაოდ ლეკურის შესრულებაში არ ჰქონდა სხეულის მკვეთრი მოქნილობა. ვერც ვაჟები, გარდა ერთისა, ქმნიდნენ სასურველ სისწორეს. არ იყო ბუნებრივობა, სიმარტივე, თავასუფალი გავლა სხეულის. ყველა ამ სურათებისათვის ჩვენ გვყავს ძალები, საკმარისი იყო ჩახედვა ქართულ კულტურაში გაძნობულ საღამოებზე, რომ იქ მოცეკვავათა რიცხვი მრავალია.

ქანი მანდენევის შესრულებაში ფალიაშვილის ეთერი სასტიკად დამარცხდა. ეს იყო განსვენება ეთერის სულიერი ღირსების. ეს იყო დასამარება ეთერის განძობიერობის და სიბოლის. ეთერი კი რალაც ჰაეროვანი, ლამაზი, ღვებარები ქმნილებდა. ქნ მანდენოვს ერთი ადგილიც არ ჰქონდა საყურადღებო.

ივ. სარაჯიშვილმა ამ საღამოს ვერ გამოაბოთა თავისი სახელი. სუსტობდა სიმღერაში. მხოლოდ მუდმივი გრძობიერობა მისი ჩვეულებრივ სიყვარულს ქმნიდა ამ მომდერლისადმი.

ინაზმი—მურმანი, ამ პარტიაში მოსაწონია. დანარჩენ რუს მომღერლების ინტონაციაში სრულეებით კვდებოდა ქართული სიტყვის ლამაზი ბგერა. საქირთ იყო ძალთა უკეთესი დარჩევა. **მ. ღვამიაჯა.**

**ს. გომის კოპერატივთა კავშირის თეატრში** შაბაძს, ა. წ. აპრ. 24 ადგ. სცენის მოყვარეთა წრემ შ. შაქარაშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინა ვ. გუნიას „და--ძმა“. ვ. ღვამიაშვილი (ოტია ჯღლია) შეუფერებელი იყო, როლის უტონდინარობა ეტყობოდა; ვ. გვაზავა (მარინე) არა ერთხელ გვენახავს მარინეს როლში, და მუდამ ნასიაშოვნებიც რჩებოდა ხალხი, მაგრამ ამ საღამოს ხმა წასული ჰქონდა, მასთან სუსტ პარტიზორების მიზეზით ჩვეულებრივ ვერ დავგაქმავთილა; ლ. დავითაშვილის (დაშვი) ხმა ხელს უწყობდა, მაგრამ ხესავით ერთ ადგილას იდგა, ხელმისათვის ადგილი ვერ ეპოვა.

ა. ელიოზიშვილის (ჯადია) სუსტობა: გუსტობულად გადაღის კი არა, უდარდელ შუამავლს უფრო ჰგავდა. შ. შაქარაშვილს (გაიბი) ხელს უწყობს ხმა, ტანი და გამოკლიდებო, მაგრამ ამ საღამოს დამაკმაყოფილებელი ვერ იყო. გრ. ფავაზაშვილმა (ფაშა) შეგნებულად და ზედმიწევნით დავესურათა ტაბი, ნ. ელიოზიშვილი (ყარა ოღლი) მოისუსტებდა, შ. კვალიაშვილი (ჯანვერდი) კარგი იყო. გრ. ჩაჩინიძე (გიორგი) თამაშმა დავგაქმავთილა, როლი რომ სცოდნოდა უკეთესი იქნებოდა, ი. კვალიაშვილს (მოხუცი ტყვე) ხმა ხელს ვერ უწყობს სცენისათვის, სხვა მხრივ არა უშავდა რა.

როგორც სარწმუნო წყაროდან გავიგე, სცენის მოყვებრთა უმრავლესობა ადგილობრივ გავრდიანია. ამ

პიესის მომზადების დროს მიუღიათ ცნობა ყაჩაღების თარეშისა და ბრძანების თანახმად გასდგომიან მათი კვალის აღმოსაჩენად რამდენიმე ყაჩაღი შეეპყრაით. ამ გარემოებამ რამდენიმე დღე წაართვა სკენის მოყვარეთ ამ მიზეზებით პიესამ ცოტა სუსტად ჩაიარა.

ხალხი ჩვეულებისამებრ ბევრი ვერ დაესწრო უამინდობის გამო.

ვეუსურვოთ მხნეობა და სიბეჯითე, რომ უფრო მეტის ხალხით განაგრძონ ეს კეთილი და წმიდა ხელოვნების საქმე.

Gitaii.

**მოგზაურმა დასმა** შალვა დადიანის მეთაურობით დასავლეთ საქართველოში დასარულა ქართულ მსახიობთა ვასტროლები. დასს გაუმართავს თოთხმეტი წარმოდგენა შემდეგ ადგილებში: ხონში 1, ქუთაისს 1 ფოთში 1, ზუგდიდში 2, სენაკში 1, ლანჩხუთში 1, სამტრედიასში 2, ყვირილასში 1 ხაშურში 1, ბათუმში 3. რეპერტუარში: შალვა დადიანის „გვეგექკორო“, „შურის-ძიება“ „ქალის 1001 ცბიერება“, „მათიკა“. დასმა გაუმართა იუბილე ნუკა ჩხეიძეს—ბათუმში.

დასის შემადგენლობა: ელ. ანდრონიკაშვილი, ვიქტორ გამყარელი, შალვა დადიანი, მიზა გელოვანი პაულე ფრანგიშვილი, ვიქტორ მატარაძე, სოსო ყიფიძე, ნიკო ჩაფუნავა, ზაქარო ურუშაძე. დას ვასტროლებზე გავფიქვლი ჰყავდა ნუკა ჩხეიძე, ფოთს და ბათუმს ოთხი წარმოდგენით.

დასს ყველგან აღფრთოვანებით ხედელობდნენ. ზუგდიდში დასმა დათავარიელა ძველთაგან ძველი ისტორიული ციხე „ქაქვიჩი“, სადაც გადაღებული იქნა სურათი ადგილობრივ გლეხებთან შიგ ციხეში: დასმა გადაიღო სურათი პიესა „გვეგექკორიანს“ სასახლის წინ ზუგდიდში ეს სურათები დაიბეჭდება ჟურ. „ოქატრი და ცხოვრებაში ამ მოკლე ხანში.

ციხის დათვალიერებაში დასს დიდი თანაგრძნობა გაუწია ზუგდიდის ერობის თავჯდომარემ ლეო ქიჩილძემ; ციხის დათვალიერების დროს დასი ცხენებით მოგზაურობდა.

ში—კი.

**სოფ. მარტყოფში** აპრ. 15 გაიმართა საბავშვო საღამო ამავე სოფლის სკოლის ბავშვების სასარგებლოდ მონაწილეობდნენ სკოლისავე მოწაფეები. საღამოს შინა არსი იყო: სალიტერატურო განყოფილება, სიმღერები და დასდგეს საბავშვო პიესა „გამარჯვებული“, თარ. დემურაისი. საღამომ სამავალითად ჩაიარა, ხალხი ბლომად დაესწრო და ძალიან ისიამოვნა თვითნაირი შეილებების გამარჯვებით.

აპრილის 17 მარტყოფის სკენის მოყვარეთ დასდგეს „ციმბირელი“ და „ბუტიიაობა“ აკასია. ამ წარმოდგენამაც ძრეულ კარგათ ჩაიარა და, მიუხედავად ცუდი დარისა, ხალხი ბლომად დაესწრო. ყველა მოთაშაშე საუცხოვოდ ასრულებდა თავის როლს. ხალხი ძრეულ ნასიამოვნები დარჩა. საერთოდ მარტყოფის სკენის მოყვარენი მუდამ კარგად ასრულებენ ნარგუნ როლებს, მხოლოდ ბინის სიციფროვე ძალიან უშლის ხელს.

დასწრე.

**ქ. გორში** მაისის 1 ა. წ. ადგილობრივ სახალხო გვარდის ბინაზე გაიმართა უფასო საღამო. აუარებული ხალხი დაესწრო. წარმოდგენილი იქნა ა. გასიტაშვილის

ახალი პიესა „სიცოცხლის გერი“ დრამა 1 მოქ პიესა ყოველმხრივ ლამაზია. ახალგაზდა ავტორმა პიესის თემა ისეთ ფერებით ჩამოაქანდაკა, რომ საზოგადოებაზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. ავტორი რამდენჯერმე იქნ გამოწვეული. პიესა კარგათ იყო მომზადებული—დადგმული. დგმა ნინ. და ელ. ნასარიძეებმა და ა. გასიტაშვილმა ნიჭიერათ შესარულეს თვითნაირი როლები. შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვა მომენტზე ბ. წ. ზაფუნია და კრ. თავჯკლიშვილი. დივერტისმენტში მონაწილეობდნენ: ქ. გუნდი კლიმიაშვილისა, რომელიც მოისუსტებდა, შაქ. გოგიბედაშვილი—სკენები და ა. გასიტაშვილი, რომელიც თავის მიხედვით ლექსების ხელოვნურად წაითხვით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ა. გასიტაშვილი აქაურ კულტურულ საქმიანობის წინაშე თვალსაჩინო ამაგი მიუძღვის ყოველთვის მხალ არის, რითაც შეუძლიან გამოადგეს ხალხს, დღესაც აქ მუშათან დანერგულს გორში არ დაიფიქვა თავის ძველი შეზობა და სკდიალობს დააკმაყოფილოს ხალხის სულიერი მოთხოვნილება.

მახწ. ჯა—ძე.

**ერთობის უზნის მუშათა კლუბში** დაარსდა მოწაფე ბავშვთა სკენის მოყვარეთა დასი ან. შავგულიძის თაონობით: ჰყავთ საკუთარი გამკვება (თავჯდომარე მდივანი, სკენარუსი, რეკვიზიტორი და სხვ. განუძრავათ სისტე. მართლად წარმოდგენების მართვა (თუმც 1917 წლიდან დრო—გამოშვებით სდგავდნენ პიესებს). კვირას, აპრ. 25 დასდგეს ა. გუნიას „ორი გმირი“, ისტ. დრამა 3 მოქ ან. შავგულიძის ხელმძღვ. ნელობით. თუმცა პიესა მათთვის შეუფერებელი იყო, მაინც მილოდინის წინააღმდეგ, სრულის ანსამბლით ჩაიარა. ი. ჭიაურელი (მ. შია გურიელი, —ტანი ვერ უწყობდა ხელს) და ვ. მესხს (ლევანი) განცდა აკლდათ. ან. შავგულიძეს (ტარიელი) ნიჭიერი, დაუჭირებელი თამაშით არა ერთხელ დაუტკბია დამსწრე საზოგადოება: იგი ჯერ 15—16 წლისა და ესლავ ეტყობა უტყუარი ნიჭი და ამ საღამოსაც მშვენიერი იყო, აწონდაწონილი ჰქანდა გმირის სულის კვეთების ყველა ენთებით, თვისი როლის დაკვირვებელი განსახიერებით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება და ბევრ გულჩვილ მაყვარებელს მოჰკვარა თანაგრძნობის ცრემლები. საჭიროა ყურადღება მიექცეს და გზა მიექცეს. დლონაძე (ბალათარ) კარგი იყო. გმჯომინებოდა ყველა წინადადებისთვის სათანადო მიმოხვრა მიეცა. ი. ჩარკვიანი (მიქელი) ვ აბაზაძე (მწყემსი) ვ კაციტაძე (ყარაული) თვითნა ადგილას იყვნენ. რ. ებრაელიძე (დუღუ) ან) მოკარაჰეს რომ ააღწერდეს თვალსაც კარგი იქნება და ან. მანველიძე (დესპინე) ორივე კარგები იყვნენ, მაგრამ როლები რომ შეეცალხათ ეჭვობინებოდა. კლუბის განკვება ყოველ დღე იხმარება ამ ბავშვ.—მოწაფეთა წრეს, რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

წარმოდგენა ფასიანი იყო 5—15 მ. დაიწყო 8 1/2 ს. გათვდა 11 1/2 ს. ხალხი ბლომად დაესწრო როგორც ბავშვები ისე დიდრონები და კმაყოფილც დააშალა.

ზ. გრემი.

**ნაძალადევის მუშათა კლუბში** შაბათს, აპრ. 17-ი თბ. კვანძის რკინ. სკენის მოყვარეთა წრის მიერ თბ. ბერიშვილის რეჟისორობით წარმოდგენილი იქნა „ეროლოიუციის რიერაზე“ დრ. 4 მოქ. აღ. მგალობლს

შეიღობა. მშენებრად დასაბრათა ნიკოს როლი ა. ლითა-  
იხვილმა. მდინარე ხმა და მიმიკა მის ხელს უწყობდა—  
მეუღლარებელი იყო იგი ნ. ბერძენიშვილთან ერთად (ელენე)  
ჰე-4 მოქ-ში, კარგები იყვნენ ახალგაზრდა სცენის მოყვა-  
რენი: ნ. კუტალაძე (პეტია) და ვ. გაგავა (ზურაბი) თუმცა  
პირველს კოტა როლის უცოდინარობა ეტყობოდა, მეორე  
კი ზოგადად არა ბუნებრივ ტრადიკულ პაფოსით ლაპა-  
რაკობდა. კარგი იყო აგრეთვე ვ. კულუხაშვილი პროფი-  
კატორ ირაკლი როლი. ტყუობოდა, ბევრი შრომაზე გე-  
წია მინიჭებულ როლის შემეშავებაში. არა უშავდა რა  
ვ. კულუხაშვილისას (თამარა), ხოლო მ-4 მოქ-ში თვისი  
მოხდენითი თამაშით ალტაქცებში მოიყვანა საზოგადოება.  
ძველ სცენის მოყვარეს ა. კაკაშვილს (ვესელი), არ ეპა-  
ტირება როლის უცოდინარობა, თუმცა შევეფერებოდა  
შეასრულა თვისი როლი. დანარჩენნი თავის ადვლზე  
იყვნენ, ვარდა სცენარისტისა, რომელმაც რამდენჯერმე  
გააცოცა სცენა და მსახიობნი უზერხულ მდგომარებაში  
ჩააყენა. (კოცხლად იყო დადგმული მისი სცენა მე-3-მე  
მოქმედებაში (ფარული კრება). საერთოდ წარმოდგენამ  
მწყობრად ჩაიარა, თუ არ მივიღებთ მხედროლობაში გადა-  
მატებულ ხმაურობას სცენის გარე-2 და მე-4 მოქ-  
მედებებში და საერთოდ სცენის მოწყობლობას.

**მეშაბადის კლუბში** კვირას, აპრილის 18-ს. იგივე  
პიესა („რევოლუციის რედაქცია“) იმავე შემადგენლობით  
დაიდგა. მომსულტებდა ზურაბ როლის აღმასრულებელი  
გ. დამანდაშვილი, რაც აისხნება მისი შემთხვევითი გამო-  
სვლით ამ როლში. სუსტი იყო აგრეთვე ფარული კრება  
მე-3 ში. აქაცა ქონდა ადგილი სცენარისტის მიერ სცენის  
დაცობას (მე-2-ე მოქ ბოლოს). საჭიროა ამ გარემოების  
ყურადღება მიექცეს. საჭიროა აგრეთვე მიექცეს ყურად-  
ღება სცენის გაუმჯობესებას დეკორაციების და რეკვი-  
ზიტის შექმნით ვიმედოვნებთ, ისეთი მდიდარი ორგანი-  
ზაცია, როგორც არის რკინის რკინიგზის პროფკომუნალური  
კომპირი და რომლის განკარგულებაშიც არის ეს კლუბი,  
არ დააწყენებს ამ ნაკლის შეფასებას.

შაბათს, აპრ. 24-ს ზემოხსენებულზე წრის მიერ  
წარმოდგენილი იქნა ა. ცაგარლის კოჰელია „რაც გინახავს  
ველარ ნახავ“ თითქმის ყველა ჩვენგენს რამდენჯერმე  
უნახავს ეს მხიარული კომედია და განახიერებული ტი-  
პები ნაწილობა ყველასათვის. მით უმეტეს საჭიროა ეს  
პიესა დადგმულ იქმნეს ყოველივე წვრილმან დეტალების  
დაცვით და დღის ყურადღებით. ეს ხომ ერთგვარი  
თინოგრაფიული სურათებია ჩვენი ახლი წარსული ცხოვ-  
რების! ზემოხსენებულ წარმოდგენაზე ნაკლებად ვხედავ-  
დით ამ პიესისადმი ყურადღების მიქცევას. ტყუობოდა, რომ  
პიესა სახელდახელოთ იყო და ხმაოდ. პირველ მოქმე-  
დებში ყარაჩოლელები სცენას სწორად აციებდნენ, სოფ-  
ლის გოგონების ცეკვა ვერ იყო შესაფერი, ვერც ილუჟმ  
(ი. ლაფერაშვილი) დაგვაკმაყოფილა. სოფლის გოგონები  
მალაღ ქუსლებიან ფეხსაცმელებით გამოვიდნენ სცენაზე!  
სხებებთან შედარებით კარგები იყვნენ: გ. პავლიაშვილი  
(ავეჯიქა), გ. გაბინაშვილი (გიგუა), ნ. გარჯახელი (კატინა),  
ა. ძაძაძია (კობეტაია), გ. სანიძე (არტემ ივანიჩი) და კ.  
ქართველიშვილი (დავით). უკეთესი იქნება, ეს პიესა მოხ-  
სნილი იქმნეს რეპერტუარიდან, თუ მის ხეირიანად დად-  
გმა შეუძლებელია.

აპრ. 22-ს, თბ. კვანძის რკინისგზულ სცენის მოყვარეთა  
წრის მიერ დადგობის პირველ დაწყებობილ სასწაილებლის  
ღარბმ მოწყობათა სასარგებლოდ, წარმოდგენილი იქნა ა.

ცაგარლის „ხანუმა“. საერთოდ პიესამ მწყობრად ჩაიარა,  
რასაც ხელს უწყობდა გ. პავლიაშვილის (მიკინა), ს. თე-  
ზაძის (აკოფა), ს. გარაკაბელის (ხანუმა) და ქ. კაქაშვილის  
(ქაბატაუ) მოხდენილი თამაში. დანარჩენი სუსტნი იყვნენ,  
მეტადრეკ. დემეტრიაშვილი (ტიმოთე), რომლის ლაპა-  
რაკი მსმენელებმა ხიარინად ვერც-კი გაიყეს. წარმოდ-  
გენას ხალხი ბლომად დაესწრო.

იმავე კლუბში აპრ. 25 იმავე წრემ წარმოადგინა  
„რაც გინახავს ველარ ნახავ!“ წარმოდგენას ახლად  
თითქმის ყველა ის უარყოფილი მხარეები, რომლებიც  
იმავე წრის მიერ ნაძალადევის მუშათა კლუბში აპრ. 24  
გამართულ წარმოდგენას, საჭიროა მეტი ყურადღება და  
ხელოვნების ფაქტობა მოპყრობა, მით უმეტეს რ-მ ამის  
ძალღონე შესწევთ.

**გუ-ლი.**  
**სახელმწიფო კლუბში** აპრ. 29 ვ. კობახიძის თაო-  
სნობით გაიმართა ლექცია—წარმოდგენა. ოსებ იმედა-  
შვილმა წარმოსთქვა სიტყვა საერთოდ ხელოვნების და  
კერძოდ თეატრის მნიშვნელობაზე განსაკუთრებით  
კლუბებში. წარმოდგინეს აკაკის „პატარა კახის“  
მეორე მოქ. მონაწილეობდნენ ვ. კობახიძე (კახი), გოძია-  
შვილი (მეფეხი), ტოგონიძე (რევაზი). კობლეი (გივი) ცოც-  
ხლად ჩატარეს, განსაკ. ვ. კობახიძემ. ბოლოს სცენები  
და კულეტები წარმოსთქვეს სერაჟმა (კინტოლი), კობლემა  
(სომხური), გოძიაშვილმა ლექსი, (მშენებრად). წარმოდ-  
გენა არა ჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობდა: აქვე  
გვერდზე საშინელი ღრიანცელი იყო რაც მიუტყებელია.

**კოცო.**  
**სოფ. ქვემო ჭალაში** (გორის მახ.) თემის გამგეობის  
წევრის გ. ჯაბურის თაოსნობით აპრილის 17 მოწვეულ  
იქნა გვარდიის წარმოდგენილი, გვ შტაბის, კოოპე-  
რაციულ-ს. საკრულიო აზნაგაბის, სასამართლოს, ად-  
მინისტრაციის, ს.-დ. პარტიის და ადგილობრივი სცენის  
მოყვარეთა კრება, კულტურულ საქმეების მოსაწყისრიგებ-  
ლად. კრებად საჭიროდ სცენა დაარსდეს ქვემო ჭალის  
რეიონის სახალხო გვარდიის შტაბთან „სახალხო წარმოდ-  
გენების მმართველი და ლექციების მომწყობი წრე“.  
აირჩიეს გამგეობა: „ადმინიტრი ფანგარაშვილი (თაქმქდ.),  
ალ. მესხიშვილი (ამხ. იგივე ხაზინდარი), სკ. პარკაძე  
(მდივ.), იკ. ოჯახიანიძე, შაქ. შიუკაშვილი. მღვ. პეტრე  
კარბელიშვილი და სანდრო ხელაშვილი. ი. —რი.

**ხალგაზრდა კურორტები \*)**

უღროვოდ ვარდაცვალებულ მსახიობ გ. ოხნელის  
ცხოვრებაში ბევრი კურორტი იყო. მეტადრე უკანასკნელ  
ხანს, როდესაც მსახიობი უმუშაობისაგან დასვენებულ-  
ილ მსამ მენიქია. ქართ. კლუბის ერთმა წევრმა უთხრა:

— „მსახიობს სმა არ გეკადრება, პირიქით—სინა-  
თლის შეუტი უნდა შენათო ხალხშიო“.

— კარგი, ავისრულებ შენს რჩევასო. უპასუხა გიორგიმ  
ერთ მშენებრივ ზავხულის დამეს, როდესაც კლუბის  
ბალი სავსე იყო მოსიერნი ხალხით, გიორგიმ აიღო ანთე-  
ბული ქაჩი და ხალხს სიარული დაიწყო, დამსწრენი  
გაეკვირვებთ უყურებდნენ ორიგინალურ მოსიერნეს, მაგ-  
რამ გიორგი არ შეშკრათალა და გაიბახობდა: გზა სიხველ-  
ში სინათლის შეშუქებელს-ო

**ს. ჯიღალი**

\*) ამ სათაურით დაიბეჭდება ამგები მსახიობთა, მუსიკოსთა,  
მხატვართა და სხ. ცხოვრებინან. თანამშრომელთა უსთხოვო მსგავსი  
მასალა მოგვეწოდოს.

# ქართველ მომავალთა კავშირის პირობა

აბრილის 26 შესდგა ქართველ მომდგრალთა კავშირის საგანგებო ყრილობა. დაესწრო 30 წევრზე მეტი. თავმჯდომარეობდა ვ. ლვინიაშვილი, მის აშხანაგად ი. კ. კარგარეთელი. პირველი მოხსენება გამგეობის მოქმედებაზე გააკეთა ლვინიაშვილმა. მოხსენებიდან სჩანს: ათი თვეა კავშირი არსებობს. მისი მიზანია, გარდა თვის წევრთა ინტერესების დაცვისა, ფოკალურ ხელგონების განვითარება საქართველოში. ამ ხნის განმავლობაში გამგეობას: 1) გულტარებია რეგისტრაციის წესით კავშირის წესდება და ამ რიგით მოქმედობა კავშირი ქართული მომლოცვისა, როგორც უფლებიანი ორგანიზაცია; 2) კავშირის მიუღია მხურვალე მონაწილეობა ქართულ მუსიკალურ საზოგადოების რეორგანიზაციაში და ბევრში კიდევაც მიუღწევია მიზნისათვის; 3) უშოვნია მუდმივი ბინა კავშირისათვის ინსტრუმენტით და აგრეთვე უძებნია საარსებო წყაროები (ქასაში შემოსულა 40000 მანეთამდე). 4) შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოუჩენია თავის წევრებისთვის სწავლის ფულის შეტანით; ჯერ—ჯერობით შეუტანია მოწაფეებს სწავლის გადასახადი (სამისა კონსერვატორიაში, ორისა ქართ. სამუსიკო სკოლაში); 5) დიდი შრომა გაუწევია საოპერო სტუდიის დაარსება მოწყობისთვის, ეს სტუდია მომავალში გარდაიქმნება საოპერო ჯგუფით სახალხო სახლიდან; 6) ცდილა სამუსიკონაწარმოების მთარგნის მოწყობას; ამ საქითხში გამგეობა ქართ. კლუბთან შეთანხმებით მუშაობს) ვ. ვუაის დაევილა აღნიშნულ ნაწარმოების თარგმნა და ზოგიერთი რამ გადაუთარგმნია კიდევ (7) დაუარსებია ინსტრუმენტალური სექცია 30 კაციის შემადგენლობით, რომელთა მხრივ გამგეობაში ორი წევრი შედის; 8) უმეცადინია კავშირში საუკეთესო ძალეობი მოეზიდა და მიზნისთვის მიუღწევია კიდევ ამ ბოლო დროის გამგეობის მუშაობაში მონაწილეობად ცნობილი ქართველი არტისტები ნანობაშვილი, ინაშვილი დ ი. სარაჯიშვილი.

უახლოეს მომავლისათვის გამგეობას დასახული აქვს: 1) სახალხო სახლიდან უსათუოდ დაარსოს პატარა საოპერო ჯგუფი ქართულ მუსიკალურ საზოგადოების თანამშრომლობით; 2. გააუმჯობესოს საზოგადოთ კავშირის დღევანდელი მდგომარეობა და კერძოდ მდგომარეობა ქართველ მომხრელებისა სახელმწიფო თეატრში და 3. გააძლიეროს კავშირის ქონებრივი მხარეც.

მოხდა ახალი არჩევნები გამგეობისა, რომელშიაც აირჩეულ იქმნენ: ბ. ბ. ი. პ. სარაჯიშვილი, მ. ნანობაშვილი, ა. ი. ინაშვილი, ა. გ. საოჯიშვილი, დ. აკოფაშვილი ვლ. სიმონაშვილი და გ. ლვინიაშვილი, ხოლო კანდიდატებათ ი. გ. კარგარეთელი და მ. ლონტი. გამგეობის თავმჯდომარედ ერთმანეთს შორის წევრებმა აირჩიეს მ. ნანობაშვილი, მის მოადგილედ გ. ლვინიაშვილი და პასუხისმგებელ მდივნად ვ. სიმონაშვილი. სარევიზო კომისიაში ძველივე წევრები—სვ. წერეთელი და ა. კიკნაძე.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ა. ი. ინაშვილმა საოპერო საქმისა და არტისტის მდგომარეობის შესახებ სახელმწიფო თეატრში. მომხსენებლის სიტყვით მდგომარეობა ისეთი ყოფილა, რომ საოპერო საქმეში ბევრი ცვლილების შეტანაა საჭირო. ყრილობამ დაადგინა:

დაევალოს გამგეობას საზოგადოებისა და მთავრობის წარმომადგენელთა ყურადღება მიაქციეროს საოპერო საქმის უარყოფითი მხარეებზე და მისცეს სათანადო მსჯელობა მოხსენების, რომლის ძირითად დებულებებს ყრილობა საესებოთ იზიარებს. გარდა ამისა ყრილობამ დაავალა გამგეობას, ვისაც ჯერ არს წარუდგინოს შემდეგი ორი წინადადება: 1. ძირიანად შეეცლიო იქმნას ადმინისტრაციული გამგეობა სახელმწიფო თეატრისა საოპერო საქმის სათანადო სიმაღლეზე დებულებლად და 2. ამ რეორგანიზაციის მოხდენის დროს კავშირს შეძლება მიეცეს მონაწილეობა მიიღოს.

თავის მოხსენების დროს ინაშვილი გაკვრით შეეხო ბოლო ინციდენტს, ბ-წ. წუწუნავასა და სახანო თეატრის არტისტთა დღევანდელი შორის მოქმედარს, რომლის დროს ბ. წუწუნავის მიუშარბინია მუქარის კოლოთი არტისტ პოლიაევისათვის. ამ ინციდენტის შესახებ ყრილობამ მოისმინა ვრცელი ახსნა-გარკმტებანი ინციდენტის დამსწრე პირთა და დახდგინა: 1. აღინიშნოს, რომ მუქარეებით მიპართება დამსახურებულ არტისტისადმი დაუშვებელია და მიტომ აცხადებს თვის დრამა აღმუთობას.

ყრილობამ მთელი დღიური წესრიგის განხილვა ვერ მოასწერა და გადასდო შემდეგ სხდომისათვის.



## პირიშიკა და გიგლიოგრაფია.

**საფუტეკრის მოვლა.** მეფუტეკრის კალენდარი. ელვარდ ბერტრანისა. თარგმანი და გამოცემა (1920 წ.) ლ. ცაგარელისა, ავტორის სურათით და 76 ხანახათი. 200 გვ. ფ. 80 მ.

ფრიალ სასარგებლო სახელმძღვანელო ჩვენი ქვეყნის მეფუტეკრეთათვის. და სწორად ახლა, ამ განაფხულზე, რუდესაც ფუტეკარი მთელი ზამთრის ხანგრძლივი ძილის შემდეგ, გააოღის ახლაა გალიძებულსა შემოვლო. მართალია ჩვეუ გააქვს ქართული ნათარგმნი ჰაზარა წიგნაკი ფუტეკრის მოვლა და აგრედევ ამ. წულაძის მიერ შედგენილი, საქმადი დიდი ნაშრომი, მაგრამ არ შეიძლება ელ-ბერტრანის ნაშრომს უპირატესობა აო მიეცეთ, როგორც მთელ ქვეყანაზე ცნობილს და სახელმძღვანელოდ ბილვულს. ეს ახლა გამოცემა დასურათებულა 76 სურ. და შეიცავს 200 გვერდს. ფასი 80 მ. რაც დღევანდელ პირობების მიხედვით ძვირი არ არის.



პირველი ხარისხის ხოვანი რესტორანი

# შამკანი!

ამხ—ბა ძმათა ეკრესელიძების და ბაკრაძეთა  
(რუსთაველის პრ. სახლი ვორელაშვილის № 16)  
ერთი საუკეთესო რესტორანთაგანი დემოკრატიის  
სასტუმროდ.

საუხემ და სადილი ქართლური, იმერული, გვარაპოული, აზიური მზადდება საუკეთესო მზარეულის თავდგომით, სასმელები ყოველდღიური რესტორანში უკრავს სიმებიანი ორკესტრი.

(წლიური)



ალაი ივანეს ძე ელიზბარიანი

სახალხო სცენაზე სცენის მოყვარედ 35 წ. მოღვაწეობის შესრულების (1885—1920) გამო. მონაწილეობდა ქართულ სცენაზედაც თბილისსა და ბათუმში. იუბილე იმალება მისს 11 სახალხო სახლში. ჩვენი ოცდაექვსე სალაშს უძღვრის სახალხო სცენის ამ უნაგარო მუშას.

### შპრილი აგზები

ნოე უღრანაის თხზულებათა სრულ კრებულზე ხელის მომწერთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ვინაიდან მხოლოდ ხელის მომწერთათვის იბეჭდება განსაზღვრული რიცხვი, ამიტომ: 1) ვისაც ჰსურს სრული თხზულების (ხუთმეტყვე ტომის) მიღება, ყველა ტომის ბე, თითოეულზე 30 მან., სულ 450 მან. ამ თავითვე უნდა შემოიტანოს. ყოველი ტომის მიღების დროს გაიძიხდის სრულ სალიარალს ბეს გამოკლებით; 2) ვინც დღემდე ხელი მოაწერა, თუ ჰსურს დანარჩენი ტომების მიღებაც, თითოეულ ტომზე 30 მან. ბეც ამ თავითვე უნდა შემოიტანოს; 3) დაწესებულებათა და ორგანიზაციებს მოსამსახურეთა ანუ წევრთათვის ხელის მოწერა შეუძლიანთ უფრო შედეგითანის პირობებით თავის რწმუნებულ წარმომადგენელთა საშუალებით: თუ ყველა ტომის მთელი ბეს გადახდა ერთბაშად არ შეუძლიანთ, პირველ ტომზე უნდა გალიანაღონ 30 მან., იმ პირობით კი, რომ როცა წინა გამოცდა, მისი სრული ღირებულება გადახაონ, ხოლო უკვე შემოტანილი 30 მან. შემდეგი ტომის ბედდარჩება გამოციმის დასრულებამდე. ფული უნდა გამოიგზავნოს ქართული ბეჭდვითი ამბანაგომის სახელზე თბილისში რუსთაველის პრ. № 26

ნაძალადგვის თეატრი, გ. პლენანოვის სახელობაზე, გაიხსნა მისის 1-ს მოლოცეების შემდეგ, დასდგეს სცენა ი. ირემაშვილის ახალი პიესიდან, რეჟისორი იუსტიანი ტაღლიბაძე. პიესა დროს შესაფერია, მუშათა პირველი გამოსვლის სურათთა და ცოცხლადაც დაიდგა, —სპარაბაბდა ხმაურთა რაიაც, ცოტა არ იყოს, უმოთაგრეს აფეროქრ-

თალებდა. მეორე განყოფილებაში მიიღეს მონაწილეება: მომღერლებმა: ნანობაშვილმა, სარაჯიშვილმა ინაშვილმა, ფაულენშვილმა ოქრაპირიძის ასულმა, მოხეტიალე მუსიკოსმა ი. ქურხულმა პოეტებმა, ვ. რუხაძემ, ობოლმა მუშამ, ხ. ვარდაშვილმა და ბ. კორნიიევმა ნანობაშვილმა კარგად იმღერა ოპერა „ტოსკი“-დან და „მარს.“ ნანობაშვილი კლასიკური მომღერალია. ასეთი მომღერლები ჩვენში ცოტანი არიან. სარაჯიშვილის და ინაშვილის დეტუმა ოპ. „აბესალომ და ეთერი“-დან. ალტაქებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. დაბოლოს დასდგეს მუშების ცხოვრებიდან, ლ. ტანდიტის „მხეს“ დასასრულ —განშაში, რომელიც დილაშის გაგრძელია. ტენორი.

შპრო საფაროვი. 35 წელიწადია მოღვაწეობს ქართულ სცენაზე, იგი, შედარებით ჩვენი სცენის კორიიევებთან, პატარა მსახიობია, მაგრამ ღვაწლი მისი თვალსაჩინოა. მან შექმნა ჩვენ სცენაზე არა ერთი საყურადღებო ტიპი, მიუძღვის ღვაწლი ავრთვევ, როგორც რეჟისორის და სახალხო სცენის მსახიობს.

პარისკეეს, მისი 14 ქართულ კლუბის თეატრში იმართება მის პატეისაცემად წარმოდგენა. მონაწილეობენ თითქმის ყველა დამსახურებულ და ახალგაზდა მსახიობთა ძალები. იმედა, ქართველი საზოგადოება დაესწრება ამ გამოსახიობარ საღამოს და მადლობას ეტყვის ჩვენს „პატარა შპროს“.

ქართველ მომღერალთა ყოილობამ მომენტის შესახებ მიიღოს ს. უროშაძის რეჟისორიუცია: ყურილობა ესალმება მთავრობას და გამოისტეკავს სრულ იმდეს, რომ ყველა ქართველი ხელოვანი იარაღით ხელში მხად არის დიკვას საშობლოს უფლებას.

კომპოზიტოვო კეშირის გამგეობამ თავისი საჯაროთ დამოცხადებული დაპირება ნახევარი მილონი მან. აღარ მისცა ქართულ სამუსიკო საზოგადოებას. ამის გამო საზოგადოების რწმუნებულმა ს. ყოიკოლიანმა წეეოობას თავი დაანება. კაპულა და საოპერო სტუდიაც რაოდენიმე თვეა უჯამაგირო.

დრამატ. საზოგ. გამგეობა მხნედ შეუდგა ქარდასის შედგენას. შემეშავდა პიესების რუპერტუ არიცი.

ახალგ. დრამ. მსახიობ ნ. რიყამაძის დებოუტი გამიართება ქართულ კლუბის თეატრში მისის 10. დებიუტანტი კითხულობს „შეშლილის წერილებს“ შემდეგი იდგმება პიესები: ს. წერეთლის „თანამედროვე მეოჯახენი“ და ნ. დიმიტის „ლექსები“.

სამხედრო სამსახურში გაიწვიეს ბევრი ქართველი ხელოვანი. ყველა ხალისიანად მისისწრაფვის ბრძოლის ველზე.

თბილისს ჩამოვიდა გრ. პეტროვი, რომელმაც წაიკითხა რაოდენიმე ლექცია. ლექტორის სეიდა: „ძველი რუსეთის ოლდგენა“.

გამოვიდა რუსული სახელოვნო ყურნალის „ისკუსტვოს“ მორიგი №. ყურნალში, სხვათა შორის მგომწობიანო წერილია ქართველ მსახიობის პირადი დრამის შესახებ. № შინაარსიანად არის შედგენილი.